მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

დეკემბერი
ტევეთი
№12 (448)
(5779)
2018

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

სალომე ზურაბიშვილი — საქართველოს პრეზიდენტი

ემიგრანტის სამშობლოში პრეზიდენტი ხდება

საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ გაცხადდა, თუ რამდენ ჩინებულ პოპლიტიკოსსა თუ რიგით ადამიანს მიაჩნდა თავი იმის შემძლედ, რომ გაუძღვეს დღევანდელი, გართულებული ყოფის საქართველოს ცხოვრებას და გახდეს სახელმწიფოს მეთაური. ამიტომ, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა.

მეორე ტურში გადავიდნენ დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც პარტია „ქართული ოცნება“ უჭერდა მხარს და გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე — ოპოზიციაში ათამდე პარტია გაერთიანდა, რათა ერთიანი ძალით დაემარცხებინათ ,,ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი — ორივე მათგანი ერთ დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ.

წინასაარჩევნო კომპანია მეტად მძიმე გამოდგა, იგი წარიმართა ურთიერთბრალდებების ფონზე, თუმცა,ისიც უნდა ითქვას, რომ სალომე ზურაბიშვილი ცდილობდა და ახერხებდა კიდეც, თავდაჭერილი ყოფილიყო, ბრალდებათა ვაკხანალიაში არ ჩაბმულიყო. მაგრამ ასე იყო, თუ ისე, ამ პროცესმა საქართველოს მოსახლეობა ერთობ მოქანცა. განმეორებითი კენჭისყრისას — მეორე ტურში ოპოზიციის კანდიდატმა მიიღო 780 ათასი ხმა, ხოლო სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერთა რიცხვმა მილიონს გადააჭარბა.

ამრიგად, სალომე ზურაბიშვილმა საკმაო უპირატესობით გაიმარჯვა — არჩეული იქნა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტად.

სალომე ზურაბიშვილი (66წ) გახლავთ პირველი პრეზიდენტი ქალი კავკასიაში. დაიბადა საფრანგეთში, პარიზში ქართველ ემიგრანტთა ოჯახში — საფრანგეთში ქართული სათვისტომოს მეთაურის ლევან ზურაბიშვილის ოჯახში, იგი გახლავთ დიდი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის — ნიკო ნიკოლაძის შვილთა შვილი. პარიზშივე დაამთავრა საშუალო სკოლა, ჯერ იქვე, მერ კი აშშ-ში, კოლუმბიის უნივერსიტეტში და ბოლოს ისევ პარიზში მიიღო უმაღლესი განათლება. წლების განმავლობაში იყო საფრანგეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ სარბიელზე აზიისა, თუ ევროპის ქვეყნებში.

საუკუნის ათიან წლებში სალომე ზურაბიშვილი დაინიშნა საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საქართველოში. რამდენიმე ხანში კი საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და მიხ. სააკაშვილის პრეზიდენტობის ჟამს, გახდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, მაგრამ რამდენიმე ხანში ოპოზიციაში გადავიდა.

ს. ზურაბიშვილი მომდევნო წლებში კვლავ საერთაშორისო ასპარეზზე მუშაობდა, ხოლო 2016 წელს არჩეული იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი.

გაერთიანებული ოპოზიცია სალომე ზურაბიშვილს არ სცნობს, საქართველოს პრეზიდენტად, ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რაოდენი უპირატესობით სძლია მეტოქეს.

16 დეკემბერს თელავში, მეფე ერეკლე მეორის სასახლის ტერიტორიაზე გაიმართა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის ინაუგურაცია, რომელზეც გვეწვივია მსოფლიოს 55 სახელმწიფოს 150 წარმომადგენელი (ისრაელი წარმოდგენილი გახლდათ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ციპი ხოტოველის სახით. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: როგორც ჩანს, იმის გამო რომ პრეზიდენტად არჩეული იქნა ქალი, სტუმართა შორის ქალთა პრიმატი იგრძნობოდა) პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწენი ეს იყო ფრიად შთამბეჭდავი ცერემონიალი, რომელიც ხატოვანებით, ქართული კულტურის სადარი გემოვნებთ ხასიათდებოდა.

საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა ფიცის დადების შემდეგ ძალზე შინაარსიანი საიუნაგურაციო სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც ისიც აღნიშნა, რომ საქართველოში არასოდეს ყოფილა ანტისემიტიზმი. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დღევანდღელ საქართველოს გამთლიანება, სიმშვიდე და შრომის სუფევა სჭირდება. მან პრიორიტეტად დიდი ქართული კულტურა მიიჩნია,ხოლო რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, მათთან დიალოგისა და გაძლიერებული კონტაქტების მხარდამჭერია.

სალომე ზურაბიშვილი საქართველოს ისტორიის არცთუ იოლ პერიოდში გახდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. ვუსურვოთ მას მოთმინება, გამარჯვებისკენ სწრაფა და მიზნის მიღწევა!

* * *

18 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დაინიშნა ლაშა ჟვანია, რომელიც ერთ დროს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გახლდათ ისრაელში, მანამდე კი სალომე ზურაბიშვილის — საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის — მოადგილე იყო.

„ისრაელი 70 წლის“

20 დეკემბერს საქართველოში ისრაელის საელჩომ და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტმა ამავე უნივერსიტეტში გამართეს სამეცნიერო კონფერენცია „ისრაელი 70 წლის.“

კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შერვაშიძე, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი როინ მეტრეველი, სპორტული კომენტატორი ჯ. ხუხაშვილი.

შეკრებილთა წინაშე მოხსენებებით წარსდგნენ: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი იაკოვ ოფირი („ისრაელი - 70, ისრაელის სახელმწიფოს შექმნა და მოკლე ისტორიული მიმოხილვა“) ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ზაირა დავარაშვილი („ქართულ-ებრაული თემის დღევანდღელობა“), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ლელა წიწუაშვილი („ებრაული კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ძირითადი მიმართულებები“) და უსაფრთხოების სამსახურის, კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილე თადარიგში იცხაკ ილანი („ისრაელის სამხედრო კონცეფცია ჟაბოტინსკისიდან დღევანდლამდე“).

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ებრაელ ხალხს ხანუქა მიულოცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ ებრაელ ხალხს ხანუქა მიულოცა. მთავრობის მეთაურმა თბილისის მთავარ სინაგოგაში ხანუქის პირველ დღეს სიმბოლურად ხანუქას სანთელი აანთო.

მამუკა ბახტაძემ ხაზი გაუსვა ქართველი და ებრაელი ერის 26-საუკუნოვან მეგობრობას და ებრაელ ხალხს მშვიდობა, კეთილდღეობა და განვითარება უსურვა.

— დღევანდელი დღე ებრაელი ხალხისთვის გამარჯვების სიმბოლოა. ამ დღეს, როცა ებრაელი ხალხი ანთებს სანთელს, ესაა სიმბოლო იმისა, რომ არსებობს იმედი და ერთსულოვნებით ყველაფრის გადალახვა შეიძლება. ქართველი და ებრაელი ხალხის ძმობა და მეგობრობა 26 საუკუნეს ითვლის. ეს არის სრულიად უნიკალური მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში. ქართველი ებრაელები ყოველთვის იყვნენ ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობას „იუნესკო“ მალე აღიარებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად, რადგან ეს ურთიერთობა და ძმობა ყველასთვის სამაგალითოა.

ხანუქის სანთლის ანთების ცერემონიაზე, პრემიერ-მინისტრთან ერთად, საქართველოს მთავრობის წევრები, პარლამენტის თავმჯდომარე და თბილისის მერი იმყოფებოდნენ.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური

ხ ა ნ უ ქ ა მ ს ო ფ ლ ი ო შ ი

ისრაელი

6 დეკემბერს, ხანუქის მეხუთე საღამოს, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ იერუსალიმის დასავლეთის კედელთან აანთო ხანუქის სანთელი. მასთან ერთად იყვნენ ისრაელის არმიის ჯარისკაცები.. ისრაელის პრემიერ-მინისტრს ხანუქის სანთლის ანთების ცერემონიალზე შეუერთდა აშშ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში დევიდ ფრიდმანი.

ამერიკის შეერთებული შტატები

6 დეკემბრის საღამოს აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, პირველმა ლედიმ მელანია ტრამპმა, ვიცე პრეზიდენტმა მაიკ პენსმა მონაწილეობა მიიღეს ხანუქის სანთლის ანთების საზეიმო ცერემონიალში, რომელზეც მიწვეულნი ვახლდნენ აშშ ხელისუფლების წევრები, კულტურის, მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები, ებრაული თემის წევრები.

დონალდ ტრამპმა სახანუქე სანთლის ცერემონიალზე თქვა:

-- ჩემი ადმინისტრაცია ყოველთვის დაიცავს ჩვენი ძვირფასი მეგობრისა და პარტნიორის - ისრაელის სახელმწიფოს ინტერესებს.

დასასრულს კი დასძინა:

- ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ დავიცავთ რელიგიის თავისუფლებას, დავაფასებთ ყოველი ღვთის შვილის ღირსებას და ვავუფრთხილდებით საგანძურს, რომელიც ებრაელმა ხალხმა მისცა ამერიკას, მთელ მსოფლიოს.

პოლონეთი

პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ პრეზიდენტის რეზიდენციაში ჩაატარა ხანუქის სადღესასწაულო სანთლების ანთების ცერემონიალი და მეუღლესთან აღათა კორნჰაუზერ-დუდასთან ერთად სანთელი აანთო. ცერემონიალზე მოწვეული ვახლდნენ ებრაული თემის წარმომადგენლები.

ხანუქის სანთლის ანთების შემდეგ ანჯეი დუდამ თქვა: „პოლონელებსა და ებრაელებს ათასწლოვანი მშვენიერი და რთული პერიოდებით სავსე მოვლენები აერთიანებთ და დასძინა„ ებრაული თემის წარმომადგენლები პოლონური კულტურისა და ტრადიციის მნიშვნელოვან ნფიგურებად იქცნენ.

ლატვია

ლატვიის ებრაულ თემთა საბჭომ რიგის ბეით ქნესეთ პეიტავშულში გაიმართა ხანუქისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. რესასწაულში მონაწილეობდა ლატვიის პრეზიდენტი რაიმონდ ვეიონისი,ლატვიის ექს პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი, თავდაცვის მინისტრი რაიმონდ ბერგმანისი, სხვა ოფიციალური პირები, სეიმისა და რიგის სათათბიროს დეპუტატები. სტუმრებმა აანთეს სახანუქე სანთლები.

ბულგარეთი

კვირას 9 დეკემბერს ბულგარეთის პრეზიდენტმა რუმენ რადევმა და მისმა მეუღლე დესისლავამ სოფიის ულამაზეს სინაგოგაში ხანუქის სანთელი აანთო. ცფერემონიაზე მიწვეული ვახლდნენ ,ბულგარეთის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი და ებრაელი საზოგადო მოღვაწენი. ბულგარელებისა და ებრაელთა მეგობრობა საუკუნეებს ითვლის და ამ ისტორიაში მრავალი საინტერესო გმირული ფურცელია ჩაწერილი.

ქართულ-ებრაული პარნასი „სიპურაპაშუტის“ წიგნის სამყაროში

ისრაელ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის მატიანეში, მას შემდეგ, რაც ქუთაისში გაზრდილმა ებრაელმა, დიდი რაბინის შვილიშვილმა, ბორის გაპონოვმა 1969 წელს ბრწყინვალედ თარგმნა და ისრაელში გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსანი“, 20 ნოემბერს ჭეშმარიტად ახალი ისტორიული დღე დადგა. გვეამაყება, რომ საქართველოს საელჩო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პოპულარული პროექტი „ცოცხალი წიგნები“ და ისრაელის გამომცემლობა „არდესუბლისჰინგ“ ისტორიული მომენტის შემქმნელებიც, მონაწილეებიც და საქვეყნოდ გამზიარებელებიც გახლდნენ. სწორედ ამ დღეს, თელ-ავივის წიგნის მაღაზია „სიპურპაშუტში“ ისრაელში გამოცემული პირველი ქართული ორენოვანი (ებრაულ-ქართული) მცირე ანთოლოგიის წარდგენა გაიმართა. კრებული, მასთან გასაცნობად მოსულ პროფესიულ აუდიტორიას, ცნობილმა ისრაელელმა პოეტებმა და კრებულში შეტანილი პოეტური ტექსტების მთარგმნელებმა ამირ ორმა და დიტი რონენმა წარუდგინეს. ამირ ორმა შესავალ სიტყვაში აქცენტი გააკეთა ქართული ლიტერატურის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობაზე და თანამედროვე ქართულ პოეზიაში ჩაბუდებულ მარგალიტებზე, რომელთა ივრითზე თარგმნა და ისრაელში აჟღერება სამაგალითო და ორი ქვეყნისთვის საჭირო საქმედ მიიჩნია. ამირ ორისა და დიტი რონენის მიერ ივრითზე წაკითხული ზვიად რატიანის, ბათუ დანელიას, ლელა თოფურიას, პაატა შამუგიას, ლელა სამნიაშვილის და ნიკა ჯორჯანელის ქართული ლექსები ერთნაირად ახლო და გასაგები აღმოჩნდა, როგორც ისრაელელი მსმენელის, ისე ქართული აუდიტორიისთვის. იქვე, ქართულ

პოეზიას ნაზიარებმა ებრაელ მსმენელმა მრავალი საჭირბოროტო კითხვა დაუსვა „ცოცხალი წიგნების“ წარმომადგენლებს, რაზეც პასუხი ისეთი პროფესიონალებისაგან მოისმინა, როგორებიც მწერალი, კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე და გიორგი კაკაბაძე გახლავთ. გიორგი კაკაბაძემ ქართული ლექსის ხმოვანებისა და უმაღლესი ჰარმონიის შესაგრძნობად, დარბაზს დიდი ებრაელი მოშე იბნ ეზრას გენიალური „ჟამთა საგალობლის“ ჯემალ აჯიაშვილისეული გენიალური ქართული თარგმანი შესთავაზა. საქართველოს საელჩოს მრჩეველმა მანანა დუმბაძემ თავის დასკვნით სიტყვაში დარბაზიდან წამოსულ მთავარ კითხვას — საქართველოსთვის პოეზიის მნიშვნელობაზე — უპასუხა, რომ პოეზია ის ერთ-ერთი მთავარი ბურჯია, რომელსაც საქართველო, მთელი თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე მყარად და იმედიანად ეყრდნობოდა.

20 ნოემბრის ლიტერატურული ფორუმი ისრაელში იმითაც გახლდათ მნიშვნელოვანი, რომ ამ შეკრებაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე, ებრაელ ავტორებს ამირ ორს, დიტი რონენს და ლალი-ციპი მიხაელს სიურპრიზად, ხელიდან ხელში, ქართულ ენაზე თარგმნილი და ქართული გამომცემლობის მიერ („ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა“) დასტამბული პოეტური კრებულები გადაეცათ.

მშვენიერი ლიტერატურული საღამო ქართული ღვინისა და ჩურჩხელების დაგემოვნებით დასრულდა.

ამ დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის ფუძეზე აშენებულ ტაძარს წყალი არასოდეს შეუდგება!

მანანა დუმბაძე

გაიცანით ჩვენი შვილები - დავით ჩიკვაშვილი

— სამყარო არ შექმნილა იმიტომ, რომ შენს მოლოდინს მოერგოს, თავად უნდა მოერგო სამყაროს — ამ პირნციპით ცხოვრობს ახალგაზრდა პროგრამისტი და პროექტების ავტორი დავით ჩიკვაშვილი.

დათო თბილისში დაიბადა. დედა, ქ-ნი რინა ლევიაშვილი, თბილისის კონსერვატორიის დიპლომანტია. წლების განმავლობაში პედა-გოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სამუსიკო სკოლასა და კონსერვატორიაში. ამჟამად, მეირ კოზლოვსკის ებრაული გიმნაზიის დირექტორის მოადგილეა. მამა, ბ-ნი თენგიზ ჩიკვაშვილი, მეტად ცნობილი და წარმატებული ექიმი, რკინიგზის საავადმყოფოს წამყვანი ქირურგი გახლდათ. ბოლო წლებში ფაკოთერაპიის ცენტრის დირექტორია, სადაც ანტიბაქტერიული ფაგებით მკურნალობენ ადგილობრივ და უცხოელ პაციენტებს. დათოს ძმა — შალვა დაოჯახებულია, იგი „ბანკ ლეუმის“ პროგრამისტია.

დავითი ამბობს, რომ ალბათ, ყველაფერი წინასწარ განპირობებული უნდა ყოფილიყო ექიმების გარემოცვაში გაზრდილი ბიჭისთვის, მაგრამ იგი დასახული გეგმით მიიწევდა წინ. ეუფლებოდა რა სწავლას ფორტეპიანოზე , მე-8 კლასში დაიწყო გიტარაზე დაკვრა. წერდა ლექსებსაც, მუსიკასაც და ასრულებდა თავისი მუსიკალური ჯგუფის თანხლებით, რომელსაც მოზარდებმა „აორი“ უწოდეს. ისინი გამოდიოდნენ სხვადასხვა ღონისძიებებზე. დათოს ფიზიკური მონაცე-მებიც უწყობდნენ ხელს სპორტშიც ჩართულიყო. დაიწყო ვარჯიში თბილისის „მაქაბის“ კალათბურთის გუნდში და მონაწილეობდა შეჯიბრებებში.

დათო ჩიკვაშვილი ისრაელში15 წლის ასაკში „ნაალეს“ პროგრამით ამოვიდა. მე10-12 კლასი ქ. ქარმიელში დაამთავრა. აქაც თამაშობდა კალათბურთს. იყო ჯეზმენდი, ეხალისებოდა გიტარაზე ჯაზის შესრულება. იგი ეცნობოდა ცხოვრებას, მოსწონდა დამოუკიდებლობა, ისიც კი მოსწონდა, რომ ნიჩაბი პირველად აიღო ხელში და გავიდა ყანაში. თავისი ნაშრომი თანხის მიშვნელობა გააცნობიერა და აკი თავშივე მოგახსენეთ, მიხვდა, რომ თავად უნდა მოერგოს ამ ცხოვრებას. სკოლის დამთავრების შემდეგ დათო თბილისში დაბრუნდა და ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამირების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მე-2 კურსის სტუდენტი დათო ჩიკვაშვილი მუშაობას იწყებს ამერიკის ებრაელთა გამავრცელებელიკომიტეტის „ჯოინთის“ საქარართველოს წარმომადგენლობაში. იგი ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების საინფორმაციო ცენტრს. ეს ის პერიოდი იყო, როცა ინტერნეტი იჭრებოდა ჩვენ ყოველდღიურობაში და სწორედ ამ ცენტრის საშუალებით ტარდებოდა ტრენინგები. დათო ატარებდა შეხვედრებს სანკტ-პეტერბურგში, ბაქოსა და სხვა ქალაქებში, თავი მოუყარა მონაცემებს, შექმნა ვებგვერდი, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. უკვე მესამე კურსის სტუდენტმა დაწერა სამეცნიერო ნაშრომი „მიკროპროცესორული ჭრილები არქიტექტურაში“ და გაიმარჯვა რესპუბლიკურ კონკურსში. შემდგომში ამ ნაშრომს მისაღებ გამოცდებზე იყენებდნენ.

დავით ჩიკვაშვილი მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ, მიემგზავრება შეერთებულ შტატებში, უფრო საკუთარი თავის გამოსაცდელად, ვიდრე ბედის საძიებლად. მუშაობა დაიწყო კომპანიაში თთ, სადაც ხორციელდებოდა აქციების ყიდვა-გაყიდვა, დავითი კი მოგების ანალიზს ადგენდა. ერთ-ერთი მგზავრობისას მოსკოვში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, ლუიზა პაპიაშვილი და ეს შეხვედრა 2004 წელს შეუღლებით დაგვირგვინდა. ისინი რამდენიმე თვე მოსკოვში ცხოვრობდნენ და გადაწყვიტეს ისრაელში ამოსვლა. დასახლდნენ ქ. აშდოდში, უფროსი ვაჟი, თენგო 2005 წელს შეეძინათ, შემდეგ კი მეორე ვაჟი, შოთა. ლუიზა ფარმაცევტია — პოლიკლინიკა „ქლალითის“ სააფთიაქო ქსელის უფროსი. დავითმა კი სპეციალობით მუშაობა დაიწყო „სმაილ მედიაში“. ისრაელის კომპანიების მუშაობის სპეციფიკის შეგუება არ გასჭირვებია ივრითის ცოდნისა და ამერიკაში შეძენილი გამოცდილების წყალობით. მოგვიანებით კომპანიაში „კომვერს“ იმ ჯგუფის უფროსი გახლდათ, რომელიც ახლადდაარსებული, ელექტრო კარადებად წოდებულ კომპიუტერულ ახალ ვერსიებს აყალიბებდა. ეს იყო შეკვეთები ლოჯისტიკის დარგში, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში მოეხდინათ „დისკონკებისა“ და აპლიკაციების ავტომატური ტესტირება. მათი მომხმარებლები იყვნენ სერიოზული კომპანიები, როგორიცაა „სანდისტი“, „სერაგონი“ და სხვა. სულ მალე, 2012 წელს, დავითი გადადის კომპანიაში „სფიფტნეს“. ახალი პროექტის შექმნის ოდეაც არ აყოვ-ნებს, კერძოდ მიეხედა ყურადღებამოკლებულ, საპენსიო სფეროსთვის და სათაურიც შესაბამისი მისცა: „მისლაკა პენსიონოთ“.

ლია კრიხელი. „რამ მიგიყვანათ ამ აზრამდე?“

დავით ჩიკვაშვილი. ხშირია იმაზე ლაპარაკი, რომ ადამიანები მაშინ გამოერკვევიან, როცა საპენსიო ასაკს მიაღწევენ. მეტად დასანანია ის, რომ ახალგაზრდობიდანვე, უფრო სწორად, პირველი სამუშაო დღიდანვე უნდა იყოს გათვალისწინებული სამომავლოდ საპენსიო ფონდის შექმნა. არა აქვს მნიშვნელობა შემოსავლის რაოდენობას, თუ სწორად არის გათვლილი დარიცხვები, როგორც დამსაქმებლის, ასევე თავად პიროვნების მიერ. სასურველია, ეს ხდებოდეს ცნობილ სადაზღვევო ფონდებში, როგორიცაა „მიგდალ“, ან „ქლალ“.

ლ. კ. ვის შეუძლია ისარგებლოს თქვენი პროექტით ან აპლიკაციით, მხოლოდ პროფესიონალს, თუ თითოეულ მოქალაქესაც?

დ. ჩ. კარგი შეკითხვაა. რა თქმა უნდა, ამით სარგებლობა შეუძლია, ყველას ვინც კი ელემენტალურად ფლობს კომპიუტერს.

ლ. კ. საპენსიო ფონდების მხრიდან წინააღმდეგობაარ გქონიათ?“

დ. ჩ. ამის გარეშე წარმოუდგენელია. კონკურენტის მოგერიებას ყველა ცდილობს და ეს ბუნებრივია. ჩემი პროექტი იმდენად საფუძვლიანად არის გამოთვლილი, რომ თავის თავს შედეგებით იცავს. იგი პენსიის საბოლოო რაოდენობის გამოთვლის პროცესს ამარტივებს უმოკლეს დროში. ბოლო ათი წლის განმავლობაში მსგავსი რამ არ ყოფილა, ამიტომაც ახლა ეს მეთოდი ინგლისში ინერგება.

ლ. კ. თქვენი პატენტი შეიძინეს?

დ. ჩ. მე ვარ მათი უშუალო კონსულტანტი, თუ როგორ უნდა ამუშავდეს ეს სისტემა.

ლ. კ. ჩვენი სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტი „ბიტუახ ლეუმი“ როდის ერთვება?

დ. ჩ. ეს უკვე ბოლო სტადიაა. ვინც ისრაელში არანაკლებ ოცი წლისა იმუშავა, ხდება საშუალო არითმეტიკული გამოანგარიშება და კატეგო-რიის მიხედვით „ბიტუახ ლეუმი“ ამატებს სოციალურ დახმარებას.

ლ. კ. ეთანხმებით თუ არა, იმ მოარულ აზრს, რომ პროტექციის გარეშე კარიერა შეუძლებელია.

დ. ჩ. არ ვეთანხმები, განა მარტო საკუთრი, ბევრი სხვა მაგალითიც შემიძლია ჩამოვთვალო. დღეს მე კომპანიაში ერთ-ერთი განყოფილების უფროსი ვარ. სამსახურის მაძიებელი გადის გასაუბრებებს. მე ბოლო ეტაპი ვარ. თავდაჯერება თავისთავად არ არის ცუდი, მაგრამ გადაჭარბებული ეს თვისება ავლენს, რომ ადამიანმა იმაზე ნაკლები იცის, ვიდრე დამტკიცება სურს. ასეთ შემთხვევაში, მე ძალიან მკაცრი ვარ, სამსახურში ვიღებ იმ ადამიანებს, ვისი მიზანიც თვითგანვითარებაა. ასეთი უეჭველად გაიზრდება პროფესიულად.

ლ. კ. ოჯახშიც მკაცრი ხართ?

დ.ჩ. ჩემზე ლმობიერიო არ ითქმის. მომთხოვნი ვარ ჩემი ვაჟების მიმართ, იმავდროულად მეგობრული ურთ-

იერთობა მაქვს მათთან. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, საჩოთიროც რომ იყოს, შეუძლიათ მე მომმართონ. გავუგებ, დავეხმარები, არ უნდა ეშინო-დეთ და არ უნდა რცხვენოდეთ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება.“

ლ. კ. რას აკეთებთ იმისთვის, რომ ისინი დაიახლოოთ?

დ. ჩ. მე და ჩემი მეუღლე ბავშვების გარეშე არსად არ დავდივართ — ოჯახის წევრებს ოჯახური მოგზაურობა ძალიან აკავშირებს არც თავი-სუფლება აკლიათ, სკოლაში კარგად სწავლობენ, თენგო წამყვანი სოლის-ტია თამაზ ციციაშვილის ქართული ცეკვის ანსამბლში და თავისი ბარ- მიცვის ცეკვაც თავად დადგა.

ლ. კ. ამბობენ, ენის შეცვლა, კულტურული კოდის შეცვლას იწვევსო. თქვენ შემთხვევაში როგორაა?

დ. ჩ. ჩემში და ჩემ მეუღლეში შერწყმულია ქართული, რუსული ისრაელური და ამერიკული კულტურაც კი. შვილებსაც იმას ვუნერგავთ, ყველასგან შეითვისონ ის, რაც კარგია და უარყონ ნეგატიური.

ლ. კ. ბიზნესში თუ სცადეთ თავი?

დ. ჩ. ავტომობილების ყიდვა-გაყიდვას ინტერნეტის საშუალებით ვეწეოდი, მაგრამ დავხურე. მე უფრო გამომგონებელი ვარ და ჩემი რესურსები ამ სფეროს უნდა მოვახმარო.

გაიცანით თქვენი შვილები: 38 წლის მაგისტრი პროგრამისტი, მუსიკოსი, პროექტების ავტორი, გამომგონებელი, „მისლაკა პენსი-ონით“-ის განყოფილების უფროსი დავით ჩიკვაშვილი.

ლია კრიხელი

ისრაელელი კომპოზიტორი სვანური ჟუდით

იოსებ ბარდანაშვილის 70 წლისთავს მიეძღვნა

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ცნობილ კომპოზიტორს იოსებ ბარდანაშვილს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა (იხ. „მ“11, 2018წ.)

17 დეკემბერს საქართველოს ევგენი მიქელაძის სახ. ეროვნულმა სიმფონიურმა ორკესტრმა მისი სამხატვრო ხელმძღვანელის ნიკოლოზ რაჭველის მეთაურობით, კონცერტით აღნიშნა კომპოზიტორის 70 წლისთავი. კონცერტის დაწყებამდე ნიკა რაჭველმა ერთობ გულთბილად ისაუბრა იოსებ ბარდანაშვილზე, როგორც შემოქმედსა და პიროვნებაზე.

ჩვენც გადავავლოთ თვალი იოსებ ბარდანაშვილის ცხოვრებას: მომავალმა კომპოზიტორმა დიდხანს ვერ ითმინა და ისრაელის სახელმწიფოს სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან რამდენიმე თვეში — 1948წ. ნოემბერში ბათუმში მოევლინა ქვეყნიერებას, იქედანვე ჰქონდა განზრახული, რომ ისრაელში მსგავსი დასახელების ქალაქ ბათ-იამში მოუწევდა ცხოვრება. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ცნობილი კომპოზიტორის ალექსანდრე შავერზაშვილის ხელმძღანელობით იქვე გაიარა ასპირანტურა. 1986-91 წლებში გახლდათ ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი, 1991-1993 წლებში — აჭარის მუსიკალური საზოგადოების სამხატვრო ხელმძღვანელი, 1993-94 წლებში აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილე, 1996 წელს ისრაელს მიაშურა და უკვე ხსენებულ ქალაქ ბათ-იამში დასახლდა. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში შექმნა ასზე მეტი მუსიკალური ნაწარმოები. ამათგან ოთხი გახლავთ ოპერა, ოთხი ბალეტი, და ამდენივე სიმფონია, ჯერ კიდევ 1975 წ. დაწერა პირველი ქართული როკოპერა ,,ალტერნატივა“მუსიკა დაწერა საქართველოშა თუ ისრაელში შექმნილი უამრავი თეატრალური სპექტაკლისა, თუ მხატვრული, დოკუმეტური ფილმისათვის.



17 დეკემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ საიუბილეო საღამოზე შესრულდა იოსებ ბარდანაშვილის კამერული და საგუნდო ნაწარმოებები, საქართველოში, ისრაელში გადაღებული კინოფილმებისათვის, თუ თეატრალური სპექტაკლებისათვის დაწერილი მუსიკა, გაიმართა თბილისური პრემიერა ახალი შვიდნაწილიანი მუსიკალური ქმნილებისა ,,ყოველივე არს სარკე“ მეცოსოპრანოსა და ორკესტრისათვის, რომელიც ,,მენორას“ მიმომხილველის აზრით, სრულიად ახლებური, ერთობ ღრმა ნაწარმოებია კომპოზიტორის შემოქმედებაში და ახალ გრადაციაში წარმოადგენს ხელოვანს. ამ ნაწარმოებში გამოყენებულია ქართული ხალხური პოეტური ფოლკლორი, შექსპირის 66-ე სონეტი, ,,ებრაულ ქცევათა ტრაქტატი“ და სხვ.

შემსრულებლები გახლდნენ: გიორგი ცაგარელი, ნატო მეტონიძე, თეა დემურიშვილი, სამების ტაძრის საპატრიარქო გუნდი, კახი სოლომნიშვილი, საქართველოს ევგ.მიქელაძის სახ. ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და ცხადია, საღამოს ინიციატორი და ხელმძღვანელი ნიკა რაჭველი.

საიუბილეო საღამომ კიდევ ერთხელ გახადა თვალნათელი, თუ რაოდენ ფართო დიაპაზონის შემოქმედი გახლავთ იოსებ ბარდანაშვილი.

„დიალოგის სეზონი“ - „ქალის როლი სხვადასხვა ეთნოსსა და რელიგიაში“

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა ღონისძიება „დიალოგის სეზონი“ - „ქალის როლი სხვადასხვა ეთნოსებსა და რელიგიაში“. ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ „ებრაელ ქალთა საბჭო&ფონდი ლეა“ და „ეთნოსთაშორისი ურთიერთგაგების ფონდი“. პარტნიორები: „საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“; „საქართველოს აზერბაიჯანელთა ახალგაზრდული კავშირი“; „საქართველოს ქალთა საბჭო“ და „რელიგიები მშვიდობისთვის”

შეხვედრა ეძღვნებოდა ამერიკაში დაფუძნებული პროგრამის “დიალოგის სეზონი“ 10 წლისთავს და ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს. შეხვედრაზე საკვანძო განხილვის თემა იყო „ქალის როლი სხვადასხვა ეთნოსებსა და რელიგიაში“ -იუდაიზმი, მუსულმანური და ქრისტიანული რელიგიები. ასევე, განხილული იყო ქალის და ახალგაზრდების როლი მშვიდობის მშენებლობაში და კულტურათა დიალოგის განვითარებისათვის.

ღონისძიება გახსნა და შეხვედრას უძღვებოდა პროფ. მარინე სოლომონიშვილი (ებრაელ ქალთა საბჭო&ფონდი ლეა-ს ხელმძღვანელი). აღნიშნა, რომ პროგრამა “დიალოგის სეზონი“ დაფუძნებულია ამერიკაში 1989წელს, რომლის ფარგლებში ყოველწლიურად 16ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე პერიოდში იუდეველები და მუსლიმები მთელ მსოფლიოში, მათ უერთდებიან ქრისტიანები, სხვა კონფესიის და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ ინიციატივებსა და ღონისძიებებს საერთო პრობლემების თაობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით და კულტურათაშორისი და რელიგიათაშორისი დიალოგის გააქტიურებისათვის. წლევანდელი ღონისძიება ასევე ეძღვნება ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს. ტოლერანტობის დღის აღნიშვნა გაეროს გენერალური ასამბლეის ინიციატივით დაიწყო. 1995 წლის 16 ნოემბერს იუნესკომ ტოლერანტობის პრინციპების შესახებ დეკლარაცია მიიღო და 1996 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნება). „დიალოგის სეზონის“ და „ტოლერანტობის საერთაშორისო დღის“ ყოველწლიურად აღნიშნვნა კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის პატივისცემის, დიალოგისა და თანამშრომლობის აუცილებლობის შეხსენებაა. სხვადასხვა ქვეყნებში კვლევ აღინიშნება განსხვავებულის მიმართ შეუწყნარებლობა, ანტისემიტიზმი, მუსლიმოფობია, რასიზმი და სხვა. არატოლერანტულ საზოგადოებას თუ სადამდე მივყავართ, ამის თვალსაჩინო მაგალითია მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელთა ჰოლოკოსტი, ამიტომ, შეხვედრაზე ასევე ხაზი გაესვა მნიშვნელოვან თარიღს, კერძოდ 9 ნოემბერს, „ბროლის ღამე“-ს ოთხმოცი წლისთავს. 1938 წლის 9 ნოემბერს ეგრეთ წოდებულ “ბროლის ღამეს”, ბერლინში დაიწყო ებრაელთა სასტიკი რბევა, რაც მიჩნეულია ჰოლოკოსტის დასაწყისად. (იმის გამო, რომ მომდევნო დილით ჩალეწილი იყო უამრავი ვიტრინა, ეს ღამე ისტორიაში „ბროლის ღამის“ სახელით შევიდა). სწორედ ამ ტრაგედიის გასახსენებლად აირჩიეს ანტიფაშისტური მოძრაობის აქტივისტებმა 9 ნოემბერი, როგორც ფაშიზმთან, რასიზმთან და ანტისემიტიზმთნ ბრძოლის დღე. ამ დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ყოველწლიურად აღნიშნავენ, რათა მსოფლიოს საზოგადოებას შეახსენონ, რომ ამგვარი რამ არ უნდა განმეორდეს. ხაზი გაუსვა „რომ ქალს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ახალგაზრდების ტოლერანტული სულისკვეთებით აღზრდაში, კულტურათა და რელიგიათა შორის დიალოგის, სახალხო დიპლომატიის ხელშეწყობასა და მშვიდობის მშენებლობაში. ამიტომ, შეხვედრის ძირითადი მნიშვნელოვანი განხილვის საკითხია „ქალის როლი სხვადასხვა ეთნოსებსა და რელიგიაში“ შემდგომ, მოხსენებაში ისაუბრა „ქალის როლზე იუდაიზმში“.

მოხსენებებით გამოვიდნენ: „ქალის როლი მუსლიმურ რელიგიაში“ - ლეილა სულეიმანოვა (აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი) და ლეილა მამედოვა (აზერბაიჯანელთა ახალგაზრდული კავშირი); „ქალი საქართველოს ისტორიულ და კულტურულ პროცესებში“ პროფ. ირმა კეცხოველი (ტექნიკური უნივერსიტეტი, ეთნოსოციოლოგი) და ქეთევან გაბრუაშვილი (ქალთა საბჭოს ხელმძღვანელი); „ქალის როლი ქრისტიანობაში“ ლელა ხონელიძე („რელიგიები მშვიდობისთვის”) და ირმა ბალოსიანი („სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“), ვიკტორია მაკსოევა (სომხური ორგანიზაცია“აგორა“). „ახალგაზრდების როლი მშვიდობის მშენებლობაში და კულტურათა დიალოგის განვითარებისათვის“ სიტყვით გამოვიდა ებრაელი გოგონა, ლიკა ტორიკაშვილი (საქართველოს ახალგაზრდების დელეგატი გაეროში).

მოხსენებებში აღნიშნა, რომ იუდაიზმში, ისევე როგორც სხვა მონოთეისტურ რელიგიებში ქალს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რაც ფართო შესწავლის საგანია და ერთი შეხვედრით ვერ განისაზღვრება. ამავდროულად, საინტერესოა, რიგ შემთხვევაში რელიგიით ან ტრადიციებით გამართლებული სტერეოტიპები ხელს ხომ არ უწყობს ქალთა დისკრიმინაციას, რაც ზოგადად ფართო განხილვის საგანია. აღინიშნა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა უფლებების ირგვლივ სამოქალაქო კონსოლიდაციის გაძლიერებას ეძღვნება ყოველწლიური „16 დღიანი კამპანიის გენდერული ძალადობის წინააღმდეგ“, რომელიც 1991 წლიდან მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად 25 ნოემბრიდან -10 დეკემბრამდე აღინიშნება და ამ კამპანიას დღევანდელი შეხვედრით ასევე ვეხმიანებით.

გარდა ამისა, საერთაშორისო საზოგადოებაში, მათ შორის საქართველოშიც, ხშირ შემთხვევაში მიუღებელია რელიგიური მრწამსით განპირობებული ტრადიციული სამოსი, განსხვავებული კულტურული წეს ჩვეულებები და ტრადიციები. მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს პროგრამებს, სადაც სხვადასხვა სათემოები და კონფესიები უკეთ გაიცნობენ ურთიერთ კულტურასა და ტრადიციებს.

შეხვედრაზე გაიმართა საინტერესო პროფესიული დისკუსია. მნიშვნელოვანია, რომ ქალთა პრობლემებზე მიძღვილ საკითხებზე დისკუსიაში ქალებთან და გოგონებთან ერთად მონაწილეობდნენ ახალგაზრდა ვაჟები აზერბაიჯანული სათემოდან და მამაკაცები ქართული ორგანიზაციიდან. სიტყვით გამოვიდნენ ბონდო კობაძე, ფონდი მამულიშვილის გახსენება (ხელმძღვანელი), ეგმან ხალილოვი (საერთაშორისო ურთიერთობების ფაკ. სტუდენტი, აზერბაიჯანული სათემო) და სხვები.

საღამო წარმოდგენილი იყო ორი ნაწილად: პირველი - ლექცია და დისკუსია, ხოლო მეორე -კულტურული პროგრამა, რომლის ფარგლებში რომანსების შესანიშნავმა შემსრულებელმა, ქ-ნმა ნაზი სარჯველაძემ შეასრულა აზერბაიჯანული, სოხური, რუსული, ქართული რომანსები. აქვე წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა გოგონების, აიგუნ ბახტიაროვა (თბილისის სამხატვრო აკადემია) და ლიანა მურადასილოვა (მარნეულის მე-5 სკოლა) ნახატების გამოფენა ტოლერანტობის თემაზე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ებრაული, აზერბაიჯანული, სომხური, უკრაინული, რუსული სათემოების და ქართული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები და ახალგაზრდები.

მარინე სოლომონიშვილი

ᲑᲐᲖᲝᲜ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲑᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲛᲐᲡ

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ

...თქვენ, მკვიდრნო ქართლისანო,
მოიხსენიეთ კეთილი ჩვენნი...
და სახლსა ჩვენსას ნუ შეურაცხჰყოფთ.

ვახტანგ მეექვსე

ბ-ნო გურამ! თქვენც კარგად იცით, თუ რაოდენ განსაცდელშია დღეს ჩვენი ქვეყანა: თხემით ტერფამდე გაყვლეფილ-გაღატაკებულ, მშიერ-მწყურვალ ადამიანთათვის ოდნავი სიკეთეც კი განუზომელი სიხარულის მომტანია. „ევრობასკეტზე“ (ნურვის ეგონება, წერილის მთავარი თემა კალათბურთია – ის მხოლოდ საბაბია საუბრის დაწყებისა) მოგახსენებთ, რომლის ერთ-ერთი ქვეჯგუფის მატჩები თელავივში, დიდებულ სპორტის სასახლეში ტარდებოდა. ეჭვიც არ მეპარება, თქვენც დიდად გაიხარეთ, როცა პირველსავე ტურში ქართველების სიმპათიურ გუნდს „ხელში შემოეფცქვნა“ ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი – ლიტვის უძლიერესი გუნდი

რაღა თქმა უნდა, სიხარულით „მეცხრე ცაზე“ ავმაღლდი, თუმც ქვევით მეწეოდა აკვიატებული წყენა იმის გამო, რომ ვერ ვნახე ქართველთა საქომაგოდ და მხარდასაჭერად მომართული ტრიბუნები: ვერ ვიხილე საქართველოდან ამოსული და ამჟამად ისრაელში მცხოვრები ათასობით ქართველი ებრაელი; ისრაელში მათ ოჯახებში დაბადებული ქართველ ებრაელთა ახალი თაობა, მათ მიერ აყოლიებული ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები თუ ქართველთა მიმართ – უთვალავ სასიკეთო მიზეზთა და მიზეზთა გამო – კეთილგანწყობილნი.

სანამ თემას განვაგრძობდე, მინდა, ერთი რამ განვმარტო: ბ-ნი გურამი, ალბათ, გაკვირვებულია – მე რას გადამეკიდა ეს კაცი!

ბ-ნო გურამ! ეს ნაწილობრივ გამოიწვია კარგა ხნის წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულმა თქვენმა წერილმა ქართველებისა და ებრაელების დღევანდელი ურთიერთობის შესახებ და, რაც მთავარია, ბევრად უფრო ადრე თქვენგან დიდსულოვნად „აღიარებულმა“ და ერთი კაცისთვის ძლიერ მომეტებული დივიდენდებით ქართველებისთვის დაბრუნებულმა „ვალმა“.

და ისევ „ევრობასკეტს“ მივუბრუნდეთ.

სამწუხაროა, მაგრამ უთუოდ უნდა აღინიშნოს უარყოფითი ტენდენციის შესახებ (და ამისთვის არ იყო აუცილებელი „მოდარაჯე კაცის თვალი“): ჩემპიონატის დაწყებისთანავე შეიმჩნეოდა ისრაელის კალათბურთის (საერთოდ, სპორტის) მესვეურთაგან ხაზგასმული ინფანტილიზმი, უყურადღებობით შეფერილი!

ტურნირის ფორმულიდან გამომდინარე, შეიქმნა სიტუაცია – ქვეჯგუფების მასპინძელ ქვეყნებს (ისრაელი, თურქეთი, ფინეთი, რუმინეთი) მიეწვიათ თითო მასპინძლისათვის „სასარგებლო“ გუნდი: ჩვენ რომ ისრაელის ქვეჯგუფში მოვხვდით, არავის ეგონოს, ვინმეს მრავალჯერ მიპატიჟების, კალთების ჩამოხევისა და ჩვენი „იმერული თავპატიჟების“ შემდგომ მოხდა – უბრალოდ, კენჭისყრისას ფორტუნამ ასე ინება.

ახლა კი ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ჩემპიონატი თბილისის სპორტის სასახლეში და ჩვენ მიერ მოპატიჟებული (სხვაგვარად არ იქნებოდა) ისრაელის ნაკრები იმავე ლიტველებს შეხვედროდა – მართლაც რომ გადაივსებოდა სასახლის ტრიბუნები და როგორი თავგამოდებით უქომაგებდა ქართველი ებრაელს! როგორ გაიხარებდა იგი ისრაელელთა წარმატებით...

ამ სახის ოცნებათაგან გამორკვეულთ თელ-ავივის სპორტის სასახლეში ისრაელ-უკრაინის მატჩის (რომელშიც ებრაელთა გამარჯვება გზას უხსნიდა ქართველებს პლეი-ოფში გასასვლელად) დროს ხელში შეგვრჩა ხაზგასმულად ცარიელი ტრიბუნები, დასაწყისშივე ფარხმალდაყრილი ებრაელი კალათბურთელები, თავის ნებაზე მიშვებული, სურვილისამებრ მონავარდე უკრაინელები და ... დამთავრდა ჩვენი „ევრობასკეტიც“...

შევეცდები, დაგაჯეროთ, ბ-ნო გურამ: მე, სხვა უმეტეს ქართველთაგან განსხვავებით, ბევრად მტკივნეულად განმიცდია და განვიცდი ყოველგვარ ნიუანსს პრობლემებისას, რაც კი წარმოშობილა (საბედნიეროდ, იშვიათად) ამ ორი ეთნოსის თანაცხოვრებისას.

მიზეზი მარტივია და, ამდენად, ადვილად ასახსნელი: დავიბადე ქუთაისში და გავიზარდე თეთრი ხიდიდან ასიოდე მეტრში, რიონის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქის არცთუ დიდად მცოდნეთათვისაც კი ადვილად მისაგნებ, ალბათ, უკვე ყოფილ „ქრონიკის“ მოპირდაპირედ, „დაბლა ბაზრისკენ“ ჩასახვევ ნინოშვილის ქუჩის დასაწყისში, ანუ არცთუ დიდად დაშორებით იმჟამად ებრაელებით კომპაქტურად დასახლებული შაუმიანის (რა შუაში იყო სომეხი ამხ. სტეფანე ებრაელთა საცხოვრისთან – ეს საიდუმლო კომუნისტებმა თან გაიყოლეს) ქუჩიდან.

ჩემი მახსოვრობა და ბავშვობის „მცირე მოქმედების არეალში“ დამკვიდრება იწყება „დიდ სამამულოდ“ წოდებული ომის ბოლო წლებიდან მოყოლებული, შემდგომში ჩვენი ქვეყნის ისტორიის დამამშვენებელ ადამიანთა სიახლოვეს, რომელთა გახსენება ან თუნდ წამიერი „გაცოცხლება“ „აროდეს გვიზამს ზიანსა“.

ცენტრალური, სტალინის ქუჩიდან ჩამოუხვევდი თუ არა „ნინოშვილზე“, მარჯვნივ პირველსავე სახლში ცხოვრობდა ქართული კალათბურთის, განსაკუთრებით კი მისი მძლავრი, „ქუთაისური ნაკადის“ გზამკვლევი და მოამაგე – „ახოვანი, მშვენიერი“ სულიკო ᲗᲝᲠᲗᲚᲐᲫᲔ.

ქუჩის გადაღმა, მოპირდაპირე სახლის ბინადარი კი იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი კრივში გულო ცანავა. მის ვაჟკაცურ გარეგნობას ხაზს უსვამდა მოკრივისთვის „თანმდევი“ ფორმაშეცვლილი ცხვირი.

იმაზე კი, ვის შესახებაც ახლა მინდა გესაუბროთ, დაუსრულებლად შემიძლია ვილაპარაკო... ჩემი ბავშვობის მოკაშკაშე წერტილზე, იმერული „ალაგეთი“ მეზობელზე!

ᲑᲝᲭᲝᲚᲘᲐ (ფრიდონ) ᲚᲝᲛᲘᲫᲔ, ბავშვობიდან ჰა და ჰა, გამოსული ქუთაისელთა უკვე აღიარებული კერპი იყო, მათგან კრივში, მომავალ მსოფლიო ჩემპიონად შერაცხილი! არსთაგამრიგემ კი სულ სხვანაირად ინდომა:

მელბურნის ოლიმპიადის წინა (1954 წ.) – ევროპის ჩემპიონატიდან მოხსნეს ვიღაც უსულგულო პედანტის დაჟინებით (არასრული 37-გრადუსიანი სიცხის მომიზეზებით), მელბურნის წინ კი ოლიმპიადის საგზური, ისევ და ისევ უსულგულო რეგვენთა გადაწყვეტილებით, რომელთაც უგულებელყვეს იმ მომენტისათვის მისი ბრწყინვალე სპორტული ფორმა, მხოლოდ და მხოლოდ თავის დაზღვევის მიზნით, გუნდში ტიტულოვანი (ევროპის ჩემპიონი) ჩასვეს. ორივეჯერ ეს იყო ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, სიმართლე უნდა ითქვას, არც თუ ურიგო სომეხი მოკრივე ვლადიმერ ენგიბარიანი: ვარშავაშიც და მელბურნშიც იგი ჩემპიონი გახდა.

ენგიბარიანი არ მალავდა, რომ თავისდაუნებურად გზა გადაულობა მასზე დიდი მონაცემების მქონე მოკრივეს.

არსთაგამრიგემ კიდევ ერთხელ, ამჯერად უკანასკნელად, გაიხსენა იგი და იანვრის ერთ თოვლიან დღეს ავტოკატასტროფით, რომელიც ბედის ირონიით სახლიდან რამდენიმე მეტრში მოხდა – დაამთავრა მისი ბედუკულმართი სპორტული და ბედკრული ცხოვრების უმოკლესი გზა.

ჩვენთვის საინტერესო არცთუ დიდ მონაკვეთს ნინოშვილის ქუჩისას ვიზუალურად ამთავრებდა სხვა შენობათაგან განსხვავებული მოზრდილი ნაგებობა, საცხოვრებელი სახლი, რომლის ნაწილი ეკავა ოჯახს, რომელშიც დედასთან, უფროს და უმცროს ძმებთან ერთად ცხოვრობდა და იზრდებოდა „თვით“ ჯემალ ქარჩხაძე. ჩვენ, გარდა იმისა, რომ უახლოესი მეზობლები ვიყავით, ერთ კლასში ვსწავლობდით და 50-იანების შუა წლებში ერთად დავამთავრეთ წარსულითა და „მაშინდელი აწმყოთი“ ერთ-ერთი უპირველესი – ქუთაისის ვაჟთა მეორე სკოლა.

ნიშანდობლივია: ქარჩხაძეების სახლის პირდაპირ ეზოში, ძველ, აგურის სახლში კარგა ხანს უცხოვრია დიდ ქართველ მწერალს ნიკო ლორთქიფანიძეს.

ყველა ზემოხსენებულს შეიძლება დავუმატოთ ტრადიციულად სახელოვან ექიმთა ოჯახის იმჟამინდელი თაობა ძმები ცაგარეიშვილებისა, ქელასის თავკაცისა (გაგუას) და ქალაქის პარტიული კომიტეტის მდივნის (ნარსიას) ოჯახები.

ბავშვობის მცირე სამოქმედო არეალზე უკვე ვილაპარაკე და მისი გაუხმაურებლად გაფართოების დროც დაგვიდგა – უმამებოდ (ისინი თანდათანობით ყველანი ომში გაიწვიეს) დარჩენილებმა და სათანადო ყურადღებამოკლებულებმა, დედებისაგან, რომლებიც დღეს ღამესთან ასწორებდნენ, რათა ომის ქარცეცხლს გადარჩენილი მეუღლეებისთვის შიმშილს გადარჩენილი შვილები და სინდის-ნამუსშეუბღალავი ოჯახები დაეხვედრებინათ – „რუბიკონი გადავლახეთ“ და ნინოშვილის ქუჩას დაბლა ბაზრამდე ჩავუყევით, შევათვალიერეთ ბაღჩეულითა და ხილ-ბოსტნეულით დატვირთული, მომხიბვლელად არიგებ-ჩარიგებული დახლები!

შემდგომ იყო და, თეთრი ხიდისაკენ გავეშურეთ: უკან მოვიტოვეთ „ბეოლები“ და რადგანაც მხოლოდ ბიჭები ვიყავით – ხიდქვეშ, იქვე ორქვაში (გესმით, ალბათ, დოდო აბაშიძის: „მედუზო ... მედუზო“) ამოვყავით თავი. ვინ როგორ და ვინ როგორ გამოვფინეთ ჩვენ-ჩვენი არცთუ მდიდარი (პირადად თავს ვიწონებდი სოფელში, ცხენისწყლის ტოტზე გადადგმული წისქვილის საგუბარში ნასწავლი „ბაყაყურით“) საცურაო-ტექნიკური არსენალი.

კარგად შეგრილებულებმა და არანაკლებ წყალნაყლაპებმა (უკვე „რიონდალეულებმა“) თეთრი ხიდიც უკან მოვიტოვეთ და ქალაქის ცენტრისკენ გეზაღებულებმა ულამაზეს ასწლოვან ხეთა ტევრში ჩაფლული ედემი – ქუთაისის სახელგანთქმული ბულვარი – თავისებურ, იმერულ სტუმართმოყვრულ, ზნეკეთილ ადამიანად აღმზრდელი, სახალხო აკადემიად წოდებული – აღმოვაჩინეთ!

და თუ ჯერ კიდევ „გმირი იმერი ზრდილობით“, ზნეობითაა შეჯერებული, ამაში უდიდესი წილი დევს ქუთაისის ბულვარის (და არა ბულვარული) აკადემიისა.

ვამაყობ იმით, რომ სრულად მაქვს გავლილი მისი ყოვლისმომცველი „ქართლმოყვარეობის“ (რა თქმა უნდა, „კაცთმოყვარეობის“ ხიბლით გაჯერებული) სასწავლო კურსი!

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ომით გამოფიტულ – უმამოდ, უკანფეტოდ, „უპონჩიკოდ“ გაფერმკრთალებულ ბავშვობას. თუმცა ვფიქრობდით, რომ ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, რომ არა... ნათქვამია, ეშმაკს არ სძინავსო და კოკამ ბოლოს და ბოლოს ვეღარ მოიტანა წყალი – გატყდა, ამ შემთხვევაში „რიონის წყალზე“: მშობლებს (დედებს) საიდუმლო ინფორმატორმა ჩვენი „ოდისეების“ შესახებ, ყველაფერი წვრილ-წვრილად ჩაუკაკლა და თამამად შეიძლება ითქვას, ყველანი „ორქვაში ჩაგვიშვა“. შეიძლებოდა ყველაფერზე **დაგვეხუჭა თვალი, მაგრამ რიონი ყოველგვარ ზღვარს სცილდებაო და მკაცრად აგვეკრძალა** ნინოშვილიდან ფეხის გადგმაც კი.

ასე დავკარგეთ თავისუფლება, მაგრამ გულს ვიმშვიდებდით იმით, რომ რამდენიმე დღით დავასწარით დიდად უსიამოვნო მოვლენებს და ყველაზე შორეული „ტურისტული გასვლა“ განვახორციელეთ – პირველად ვნახეთ ქუთაისის ერთ-ერთი საინტერესო, სხვა უბნებისგან მკვეთრად გამორჩეული, ჩვენთვის, ბავშვებისთვისაც კი შესამჩნევი – თავისებური ფუსფუსით და ჩვენი ეკლესიებიდან განსხვავებული სალოცავით – სინაგოგა – შესასვლელში გრძელ სკამზე ჩამორიგებული, მომეტებულად წვერმოშვებული, ხელჯოხზე დაბჯენილი ხელებითა და ზედ ნიკაპჩამოდებული ურთიერთმსგავსი, ცილინდრებიანი მოხუცებით.

გავიხარეთ, თვალი რომ მოვკარით დიდი ხნის უნახავ „მეპონჩიკე“ ისაკას. მას, ომამდე ქათქათა ხალათმოცმულს, კისერზე მინაჩასმული, ცხელ-ცხელი „პონჩიკებით“ სავსე ხის ყუთით, მუშტრის მომლოდინეს, მამაჩემი ეზოში მოიპატიჟებდა, ბავშვებს დაგვიძახებდა, გვეტყოდა: აბა, ვნახოთ, დღეს ვინ რამდენს მოერევითო და ისაკაც გულუხვად გადაგვიშლიდა მდუღარე ზეთიდან სულ ახლად ამოყრილ, ნარინჯისფრად შებრაწულ უგემრიელეს ნუგბარს.

ᲰᲝᲓᲐ, ისაკა რომ დავინახეთ, ჩვენში „პონჩიკის“ რეფლექსმა იფეთქა და სასწაულის მოლოდინში იმედმოცემულები შემოვეხვიეთ, მან კი, ძალიან გაკვირვებულმა მის ტერიტორიაზე ჩვენი სტუმრობით, ცივი წყალი გადაგვასხა:

– არა, დაგენაცვლეთ, „პონჩიკ“ ვინღა აცხობს ახლა?!.

აქ ყველაფრის ყიდვა შეიძლებოდა: თავზე დასახურის, ტანსაცმლის თუ ფეხსაცმლის – ერთ რამედ ღირდა ცქერა და მოსმენა გამყიდველის მყიდველზე (როგორც ახლა ამბობენ) ზეწოლისა, რაც საქონლის ზომის (სიგრძე-სიგანის) „შეტყუების“ მცდელობაში გამოიხატებოდა:

– დავენაცვლე ამის შემკერავ ოქრო ხელებ – ზუსტად შენ ტანზე (თავზე, ფეხზე) არ მოურგია?!.– გეტყოდა და თუ გაუვიდოდა, ერთი ზომით მეტს ან ნაკლებს შემოგაჩეჩებდა. ეს იყო და ეს – ამაზე დიდი ბოროტება, საყიდლებზე მოსულთა მიმართ ჩადენილი, არაფერი მახსოვს, არ მავიწყდება კი ოჯახში მშობლების მიერ მრავალჯერ თქმული:

– დაუეჭვებლად ენდე ებრაელს – იგი უღალატოა!..

დიდი იმედი იყო შაუმიახის ქუჩა ავადმყოფის პატრონისათვის. აუხვევდი თუ არა, ქუჩის დასაწყისშივე, სინაგოგის შემოგარენში მოფუსფუსეთაგან პირველივე ებმებოდა წამლის ძებნის ოპერაციაში. იგი სხვებთან მოითათბირებდა და სადღაც გარბოდა. ცოტაც და, სრულიად უცნობი გამოცხადდებოდა სანუკვარი წამლით ხელდამშვენებული. შენ ახლა გიჭირს, ჩვენი მოძიებული წამალი თქვენთვის სასიცოცხლო აუცილებლობაა და არიქა, სული უნდა ამოგხადოთ, ისეთი ფასი დავადოთო – არაფერი ამის მსგავსი! მართალია, უგებდნენ, მაგრამ ისეთი დოზით, რომ ორივე მხარე კმაყოფილი რჩებოდა და, რაც მთავარია, ავადმყოფი რჩებოდა!

60-70-იან წლებში თბილისიდან ქუთაისში იშვიათად ჩასული შაუმიანს გადავხედავდი და გული მტკიოდა იმის შემხედვარეს, თუ როგორ იცლებოდა იგი „ისტორიული სამშობლოს“ „მიწის ყივილს“ მიყოლილ ებრაელთაგან – ბოლოს და ბოლოს, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ქუთაისის ორგანიზმს რაღაც ამოაცალეს, ალბათ ღვიძლი. დიახ! ღვიძლი ამოეცალა ქუთაისს და მთლიანად საქართველოს!

ამ ორმა ერმა ერთმანეთთან გვერდით დგომითა და ურთიერთგატანით შეუმსუბუქა ერთმანეთს ომის სისასტიკითა და სიავით გამოწვეული საშინელებანი. ამ ორმა ეთნოსმა მუხლჩაუხრელად ატარა, როგორც ფარი და მახვილი, ღირსება და ზნეობა, მაგრამ ამ უსაშველოდ სასტიკი და გაუთავებელი ომით გამოფიტულ საქართველოში არ არსებობდა ქართველი ან ებრაელი მათხოვარი. არ ყოფილა ქართველი ან ებრაელი მეძავის ხსენებაც კი. ამიტომაც იყო, ალბათ, ამ ფონზე რომ ნამეტნავად ხმამაღლა ისმოდა ქუთაისურად მოქცეული, სლავური სახელი ქალისა – ვერკაია ბ...სა: მოწიფულ, ძამრ ქუთაისელთა დამაოკებლისა და კაცობაში დამკვალიანებლისა.

ებრაელმა სულზე გაასწრო, ქართველი ქალი კი სამათხოვროდ გაშვერილი ხელით შეხვდა ოცდამეერთე საუკუნეს. ძნელია, შეელიო თავმოყვარეობას, მაგრამ უფრო ძნელი აღმოჩნდა დედისთვის უპურობით თვალსა და ხელს შუა მომაკვდავი შვილების ცქერა და ... ქართველმა ქალმა, ოდესღაც ბუზს რომ არ აიფრენდა, მათხოვრობა იკადრა!..

ნუ იტყვით, ბ-ნო გურამ, რომ ასეთსავე პირობებში ასე არ მოიქცეოდა ებრაელი დედაც! მართალია, ძნელია, გამართლება მოუძებნო თავმოყვარეობის ოდნავ შებღალვასაც კი, მაგრამ უძლეველია გრძნობა დედაშვილობისა! მას

►► *ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-13 ᲒᲒ.*

▶▶ დასაწყისი მე – 12 გვ.

ვერასდროს შეეხება უზნეოთა მსახვრალი ხელი, თუმცა არის მცდელობა, სასაცილოდაც კი წარმოაჩინონ ოდითგან ქართული ტრადიციებით დადგენილი სინდის-ნამუსისა და ზნეობის ნორმების დაცვა! ცოტა ხნით ყური დამიგდეთ და თავად განსაჯეთ:

ალბათ, დროა – შეიძლება დაგვიანებულიც კი, ვისთვისაც აუცილებელია, იცოდეს – არ ვართ ქართველები „ბნელი ქვეყნიდან“ (როგორც პიპინია ერისთავი იტყოდა) მოსულები: მხოლოდ პოზისათვის როდი ვატანდით გათხოვილებს „ვეფხისტყაოსანსა“ და ჭადრაკს მზითევში – მარტო ის რად ღირს, რომ ოცდაათი წელი (ერთი დღის გამოუტოვებლად) მსოფლიოს საჭადრაკო ტახტს ქართველი ქალები დედოფლობდნენ!!!

დიდი **ნონას** გაკაფულ გზებზე ქართველმა ქალებმა აკრიფეს და სამშობლოს საკურთხეველზე მოიტანეს, რაც კი რამ ჭადრაკის სამყაროში საჩუქარი და რეგალიაა გონიერთა პაექრობებში გამარჯვებულთათვის!

ქართველი მამაკაცი კი, ოდითგან ცალ ხელში გუთნითა და მეორეში ხმლით, მოიხელთებდა ხოლმე დროს „ვეფხისტყაოსნის“, „ვეფხისა და მოყმის ბალადისა“ და „ნიკორწმინდას“ შესაქმნელად, ვაზის მოსაშინაურებლად – მან ხომ მსოფლიოში პირველმა მისი მტევნების ნაჟურიდან დააყენა ღვინო და არამარტო ჩვეულებრივი, არამედ მსოფლიოს განმაცვიფრებელი „ქვევრის ღვინო,“ და ის, ყოველივე ამის შემოქმედი, ღვინით შექეიფიანებული ყელს მოიღერებდა დიდებული „ჩაკრულოს“ სამღერლად!

მსოფლიო ჭადრაკს შეეხო და არ ახსენო ისრაელი და საქვეყნოდ განთქმული ებრაელი მოჭადრაკეები – მიხეილ ბოტვინიკი, დავით ბრონშტეინი, ლევ პოლუგაევსკი და სხვ. „ჭადრაკის ჯადოქრის“, დიდი მიხეილ ტალის თავკაცობით, უმადურობა – თავის აგდებაც კია! თუმცა უამისოდაც ებრაელთა მსოფლიო საჭადრაკო ავტორიტეტს ბევრი არაფერი მოაკლდებოდა!

„უმადურობა“ ვახსენე და არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვა „იად ვაშემზე“ – იერუსალიმის გოდების კედლის თავისებურ გაგრძელებაზე, ებრაელთა ცრემლისა და მწუხარების, გოდების მემორიალზე, ვიტყოდი: მდუმარე ლოდებით შექმნილ არქიტექტურულ რეკვიემზე!

ვფიქრობდი: აქ მაინც იქნება მასალები ებრაულ-ქართული 26-საუკუნოვანი თანაცხოვრების შესახებ უხსოვარი საუკუნეებიდან ქართველთა გვერდით დგომითა და მათი ხმლის წყალობითაც გადარჩენილი ასობით ათასი ებრაელის გენის ერთ-ერთი მძლავრი ძარღვის ისტორიიდან-მეთქი! მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ – არაფერი ამის მსგავსი: მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული მილიონობით დამთვალიერებელი ისე დაიწყებს და ჩაამთავრებს მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტთა სისასტიკეს შეწირული 6 000 000 ებრაელის ხსოვნისადმი მიძღვნილი, მოზრდილ ტერიტორიაზე გადაშლილი მემორიალის დათვალიერებას, რომ იოტის ოდენადაც ვერ შეიგრძნობს ასეთი ქვეყნის – საქართველოს დედამიწის ზურგზე არსებობის შესახებ!

ისევ და ისევ გულჩაწყვეტილები საბოლოოდ ვრწმუნდებით: ყბადაღებული (შემახსენეთ, სხვა რა ვუწოდო) 26 საუკუნე მხოლოდ ჩვენ გვახსოვს – ქართველებს, ჩვენ რომლებსაც უკანასკნელი პერანგის საფასურით შეგვიძლია, დაუმადლებელი პატივი ვცეთ სტუმარს ან გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს (რომელიც არცთუ იშვიათად დაგვცინის ხოლმე უყაირათობისა და „გიჟვრაცუობის“ გამო) და მაინც – პატივისმცემლები ბევრად უფრო „ბედნიერები ვართ“, უხსოვარი დროიდან ქრონიკულად ალტრუიზმით დაავადებულნი!

უზომოდ გაღიზიანებულს თავშეუკავებელი საყვედურები წამცდა ებრაელთა სათაყვანო მემორიალის მესვეურთა მიმართ. ცხელ გულზე! თუმცა ნაწილობრივ წყენა დაცხრა, როცა გავიაზრე, რომ ქვეყნების უმეტესობა, პიროვნებაც კი, „ოდესმე ჭირს მყოფი“, შემდგომ „ლხინში შესული“ აროდეს ჰმადლის კეთილისმყოფელს, მისი ფეხზედამდგომლისა და მომძლავრების შემოქმედს!

თუმცა საქართველო (ქართველი) მის ყველა ნაკლთან ერთად აქაც გამონაკლისია – უმადურობა არ ზის მის ხასიათში. მაგრამ როდის გინდა დაამტკიცო ეს ყოველივე – ყოფილა კი ოდესმე საქართველო „ლხინში შესული?!“ „ეღირსება კი ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა?“

ღმერთმა ინებოს!

ამ იმედით უამრავი სათქმელით მადააშლილმა და მასში ყელამდე ჩაფლულმა გადავწყვიტე, ბოლოს და ბოლოს დავამთავრო და მოწინებით დაგემშვიდობოთ, უპირველესად, თქვენ ბ-ნო გურამ!

არ მინდა, ვიყო ისეთი უმადური, ორიოდე სიტყვა არ ვთქვა დიდ ქართველ ებრაელზე – მის ერთ-ერთ სამშობლო საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ, უმძიმესი სენით დაავადებულ ქართველ ბავშვთა იმედისა და განმკურნებელ – ბადრი პატარკაციშვილზე.

ძალიან ცოტა იცოცხლა! არადა, ბევრი არ აკლდა, ნამდვილ ერისკაცად – ქართველ ერისკაცად ჩამოსაყალიბებლად!

მინდა, ორიოდე სიტყვით ქართველთა ორ საყვარელ პიროვნებას გამოვეხმაურო: ჯემალ სეფიაშვილსა და ჯამლეთ ხუხაშვილზე მოგახსენებთ!

ბ-ნი ჯამლეთი „ქართველთა სახალხო სიყვარულის პრიზის“ მფლობელი და ქართული სპორტის კომენტატორ-კლასიკოსთა დიდებული სამეულის (ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე, ჯამლეთ ხუხაშვილი) სრულუფლებიანი და მუდმივი კოლეგაა!

ბ-ნ ჯემალ სეფიაშვილზე, ქართული მუსიკის ჯადოსნური ხიბლით ადამიანთა დამატკბობელზე კი მინდა, ვთქვა: დათვლის კი ქართველი ბ-ნი ჯემალის უკვდავი მელოდიის ფონზე სულსა და გულში რამდენი „გაზაფხული შემოსულა“... მზეც!

ბოლოს კი დიდებულ ქართველ პოეტს, შოთა ნიშნიანიძეს მოვუსმინოთ – ყველგან და ყველაფერში სიკეთისა და სამადლოს მპოვნელს:

ცოტნე გმირია, დიდებული გმირი... ოღონდაც,
თუ ბიჭები ვართ, ნუ ვადიდებთ მარტოდენ ცოტნეს,
ვახსენოთ სახედაღრეჯილი ლომი მონღოლიც,
გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მცოდნე...

...ამ ერთი ციცქნა, ხელისგულზე თავისუფლად დასატევ ლექსში როგორ ჩაატიე ამოდენა გული, შე მადლიანო, შენა!!!

ლიტერატურული საჭადრაკო

ყველაფერი გაიოლდა, ყველაფერი გაიაფდა!

ბ-ნ ჯ. ჯანელიძეს

თქვენმა ღია წერილმა („ლიტერატურული საქართველო“ 42, 16.10. 2018) გულწრფელი, შეწუხებული ადამიანის გულისტკივილი მაგრძნობინა. შევეცდები ასევე გიპასუხოთ და ორიოდ შენიშვნა-მოსაზრებაც გაგიზიაროთ.

ჯერ იმის თაობაზე, რაშიც გეთანხმებით: თავადვე წერთ „მინდა ერთი რამ განვმარტო: ბატონი გურამი ალბათ გაკვირვებულია, მე რას გადამეკიდა ეს კაციო.“ მართალს ბრძანებთ: გაოცებული გახლავართ. რატომ? რა შუაში ვარ? თურმე, ჩემდამი მომართვის მიზეზი ის ყოფილა, რომ ადრეულ წლებში წაგიკითხავთ ჩემი ერთ-ერთი წერილი ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე. სხვა უფრო მთავარ მიზეზი? „თქვენგან (ე.ი. ჩემგან. გ.ბ.) დიდსულოვნად „აღიარებულმა“ და ერთი კაცისათვის ძლიერ მომეტებული დივიდენდებით ქართველებისთვის დაბრუნებულმა „ვალმა.“ გიკარნახათ, ამ გზას დადგომოდით — ჩემი მოკრძალებული პერსონისათვის წერილი მოგეწერათ. ამიტომ დაუხანებლად უნდა გკითხოთ: ნუთუ, თქვენც იმ ჩემს თანატომელთა რიგში ჩადექით, ბ-ნო ჯემალ, რომლებიც მიკიჟინებდნენ, რა ვალი აქვს ებრაელობას ქართველებისა, ეს რა ვალი დაგვადეო. იმ გარემოებამ რომ სიტყვა **აღიარებულმა** (ხაზგასმა ყველგან ჩემია. გ. ბ.) ბრჭყალებში მოაქციეთ და მე თურმე „**ძლიერ მომეტებული დივიდენდებით**“ გამოვხატე ორი ერის ისტორიული თანაცხოვრება, ასეთი ფიქრიც გამიჩინა.

ჩემი ერის დამცრობილი ზნეობის რამდენიმე შვილი შეეცადა პიესა „ვალის“ დედაარსი მანეთებში გადაეტანა(!) და ებრაელობას ჩასძახოდნენ — საქართველოში, ისრაელში ჟურნალ-გაზეთებშიც წერდნენ „აი,რა ვალი დაგვადო ბათიაშვილმა!“ მე კი მიმაჩნია:ერები, უთუოდ არიან ერთმანეთისაგან დავალებულნი — კეთილგანწყობის, თანაარსებობის და თუნდაც, გულთბილი ღიმილის გამო. ნაწარმოების არსი თავადაც კარგად მოეხსენებოდათ, მაგრამ ვერ ჰგუობდნენ იმ ემოციას, ქართველი, თუ ებრაელი მაყურებლის კეთილგანწყობას, რომელსაც „ვალი“ ქმნიდა და ავტორისადმი პატივისცემას განაპირობებდა, ამიტომ ცდილობდნენ ებრაელთა შორის მაინც დავეკნინებინეთ. არ გამოუვიდათ.

ჩემთვის დივიდენდები არავის მოუთხოვია და არც მე გამიცია, ბატონო ჯემალ, ეს იმათი შეთხზულია, ვისაც პიესის პოპულარობა გულს უკოდავდა, თორემ საქართველოში რამდენი „ვალზე“ უკეთესი პიესა დაწერილა (იმავე ავტორის მიერაც კი!), ვინ მოთვლის!

შეწუხებული ბრძანდებით იმის გამო, რომ თელ-ავივში საქართველოსა და ლიტვის კალაბურთელთა მატჩს არ დასწრებია და ქართველებისათვის თანადგომა არ გამოუხატავს, ისრაელში რეპატრირებულ ქართველ ებრაელობას. მიუხედავად იმისა, რომ ფრიად ვეჭვობ ამ მატჩზე ჩვენი ებრაელობა არ ყოფილიყო, თქვენს გულისტკივილს სავსებით ვიზიარებ. სპორტით დიდად დაინტერესებული არ გახლავართ — განსხვავებით სიჭაბუკის წლებისგან, რეპორტაჟებს ათასში ერთხელ თუ შევავლებ თვალს, ამიტომ არც ამ შეხვედრის თაობაზე ვიცოდი და არც — ჩვენი კალათბურთელების გამარჯვებაზე. ჩემი მთავარი საფიქრალი — ქართული მწერლობა, დრამატურგია, თეატრი ათგზის, ასგზის უფრო მაღელვებს და მიზიდავს, ვიდრე ნებისმიერი სპორტული ასპარეზობა. აი, ქართული თეატრის ისრაელში საგასტროლოდ, თუ თეატრალურ ფესტივალზე გამგზავრება კი მაღელვებს. დამემოწმებით, ბ-ნო ჯემალ, თანამედროვე ქართულმა თეატრმა ისეთ შემოქმედებით სიმაღლეს მიაღწია, მსოფლიომ ისე აღიარა, ჩემი გვერდში ამოდგომა, ქომაგობა არაფრად სჭირდება, მაგრამ მე მაინც ვერ ვისვენებ: თეატრს თან მივყვები, თუ არ მივყვები — ისრაელში გახლავართ, თუ თბილისში ვრჩები, ტელეფონზე ვარ „ჩამოკიდებული“, ვისთანაც სიტყვა მეთქმის, ვაცნობებ ქართული თეატრია ჩამოსული — სპექტაკლები არ გამოგრჩეთ-მეთქი. შედეგი? დიდი მადლობა უხდიათ: არ ვიცოდით, რა კარგია, რომ შეგვატყობინე, თორემ ხომ გამოგვრჩებოდაო. კალათბურთი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემი ინტერესების რკალში არ ექცევა. არც შემიტყვია, ჩვენები ისრაელში თუ თამაშობდნენ. კიდეც გამეგო, არც არაფერს მოვიმოქმედებდი. სწორედ იმ მიზეზის გამო, რაც უკვე გაუწყეთ, მეორეც იმიტომ რომ: არის ერთი ვინმე — სპორტული კომენტატორი — ჯ.ხუხაშვილი, როცა დაისაჭიროებს, ადამიანების დარაზმვა არა მხოლოდ თბილისში, ისრაელშიც ძალუძს — ჩემს წინააღმდეგ წერილებსაც შეათითხინებს, მეტსაც გეტყვით: თქვენს მონა-მორჩილს სასამართლოში მიჩივლებს: ბათიაშვილმა ნარკოტიკებით ვაჭრობა დამაბრალა და ბოდიში მომიხადოსო. ექვსგზის მიჩივლა — ან სხვათა სახელით შეიტანა სარჩელი — ისრაელშიც და საქართველოშიც, მაგრამ ჩემგან ბოდიში მაინც ვერ მიიღო.

ეს უამური ამბები იმიტომ გავიხსენე, რომ მეთქვა: თუ ეს კაცი მოინადინებდა, თელ-ავივში საკალათბურთო მატჩზე ქართველ ებრაელთა მობილიზებას წინ რა დაუდგებოდა! არ ვიცი, მოიწადინა, თუ არა — თქვენ უკეთ გეცოდინებათ!

როგორც ჩანს, ძლიერ გიყვართ სავარდო და სამაისო ქუთაისი — სიყვარულით, ამაღლებულად წერთ მასზე, ქუთათურ ქართველებსა, თუ ებრაელებზე, ქალაქში ადამიანებს, ერებს შორის ურთიერთობის ატმოსფეროზე. თურმე ჩვენი დიდებული პროზაიკოსი ჯემალ ქარჩხაძე, თქვენი კლასელი ყოფილა! ჯემალი არა მხოლოდ ასეთი პროზაიკოსი იყო (იყო და იქნება ქართულ პროზაში!), პიროვნებაც!

თუმცა, თქვენს მიერ ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძისადმი გამოვლენილ უპატივცემლობაზე, ვერაფერ კარგს ვერ მოგახსენებთ ეროსისა და კოტეს გვერდით და ტოლად მოიხსენიო ჯ. ხუხაშვილიც, ამ ორი კორიფის უპატივცემლობა და შეცდომაა! ამ ჩინებულ მოღვაწეებთან ხუხაშვილის გათანაბრებამ, მაფიქრებინა: ან ეროსისა და კოტეს ფასი არ იცის, ან ვიღაცამ ასე ჩასჩურჩულა-მეთქი. ვხვდები, ეს „ვიღაც“ ვინც არის. და თუ ეს „ვიღაც“ თავს უფლებას აძლევს ათი წლის განმავლობაში ჩემს წინააღმდეგ ფარულად, თუ თვალხილულად ჩადენილი უზნეო ქმედებანი არ იკმაროს და როგორც კი ტრიბუნაზე შედგება (გუშინაც კი!), ჩემზე კვლავაც ნეგატიურად ისაუბროს (რა ქნას, ჩემგან არა მხოლოდ ბოდიშის მოხდას ვერ მიაღწია, ვერც იმას, საქართველო დამეტოვებინა), ჩემი მოსაზრებაც ისმინოს: იმდენი იძახა, ბათიაშვილი საქართველოს მტერია, ქართველები სძულსო, მალემრწმენებმა არიქა, ეს თუ იხსნის საქართველოსო და, „საქართველოს სიყვარულის პრიზი“ უბოძეს? დახეთ, რა ხდება, ბ-ნო ჯემალ, თქვენ წერთ „მომეტებული დივიდენდები“ გაეცითო, მაგ „საქართველოს სიყვარულის პრიზის “ მფლობელმა კი, რახან საქართველო ვერ დამატოვებინა და ვერც ბოდიში მიიღო, ქვეყანა ააწრიალა — არც მწერლები მოასვენა, არც პარლამენტარები და არც — მსახიობ-რეჟისორნი, ბათიაშვილი საქართველოს მტერია, ქართველები სძულსო. თქვენს მიერ მის გვერდით დასახელებული ჩინებული შემოქმედი ჯემალ სეფიაშვილი, რომელიც ასე უმღერის საქართველოს, არ არის პრიზის მფლობელი და ეგ არის? ნეტა, ვინ აძლევს თავს უფლებას, ასეთი პრიზები ჩამოარიგოს? ექვთიმე თაყაიშვილისათვის რომ ეთხოვნათ, საქართველოს სიყვარულის პრიზი გაეციო, გაერიდებოდა: „არა, ბატონო, მე ამას ვერ შევძლებო.“ დაეტყო, საქართველოს დიდ ნაწილს დაეტყო, რომ აღარ არიან, გაგვეცალნენ დიდნი ქართველნი — ყველაფერი გაიოლდა, სამშობლოს სახელით ვაჭრობაც კი შესაძლებელი გახდა!

კიდევ ერთი შენიშვნა, ჯემალ ბატონო: ებრაელობაზე ისეთი წარმოდგენა გქონდეთ, როგორიც გაქვთ, თქვენი უფლებაა, მაგრამ მკითხველის მოტყუება, უკადრისი საქმეა: ებრაელი ერის უმადურობაზე საუბარს კვლავაც რომ გადაწყვეტთ, დიდად გარგებდათ, სათანადო ლიტერატურაში ჩაგეხედათ, თორემ სიცრუის, ტყუილის გამავრცელებელი კაცის სახელს დაიმსახურებთ: ებრაელობა უმადურია, იადვაშემის მუზეუმში საქართველოზე არაფერი არ არისო, წერთ. ძალიან კარგია, რომ არ არის და არც იქნება, ბატონო ჩემო: იადვაშემის მუზეუმი მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფის მემორიალია. ჩვენ კი — საქართველო — ღმერთმა დაგვიფარა ამგვარი მსხვერპლისაგან, ხოლო რაც შეეხება თქვენს მიერ „ ყბადაღებულად“ დახასიათებულ 26 საუკუნეს, მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღია, ზოგიერთმა იგი, მართლაც გახადა ყბადაღებული — სპეკულაციის საგანიც კი: 26 საუკუნის წინათ ებრაელები მხოლოდ საქართველოში არ მოსულან — ახლო აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში მიმოიფანტნენ და დღეს რაოდენ პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღერდეს, მუსლიმურ ქვეყნებშიც კი ნორმალურ ცხოვრებას ეწეოდნენ. საქართველოში მათ მოიტანეს მონოთეიზმი, ჰპოვეს მშვიდობა, შრომისა და სიცოცხლის უფლება — ამ ქვეყნის ღვიძლი შვილები გახდნენ და ეს ქვეყანა, ხალხი უფასებდა და აფასებს. სხვა რომ არაფერი გავიხსენოთ, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამ მიწაზე ებრაელთა მოსვლა-დამკვიდრების თარიღი ორჯერ აღინიშნა, ბიზნესმენმა, დიდმა ქველმოქმედმა ბ. ივანიშვილმა კი შემორჩენილი სინაგოგები აღადგინა.

თქვენ კი უმადურ ხალხად გამოაცხადეთ. საწყენია, ძალიან საწყენია!

სხვა შენიშვნებისაგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ, ვიცი, „საქართველოს პრიზის მფლობელი“ არ მოისვენებს, თუ თქვენ არ იკადრებთ, პასუხს სხვას დააწერინებს, ან ისევ საგანგებო გაზეთს მომიძღვნის — დღეს მას ყველაფერი შეუძლია. ასეა, როცა ხელისუფლებას ექვთიმე თაყაიშვილის იუბილე გამოეპარება, მის იუბლეზე (?!) კი მიმლოცველთა რიგში ჩადგებიან, მაგრამ როგორც სოლომონ ბრძენი ამბობდა, „ჰა ქოლ ავარ“ — ყველაფერი წარმავალია!

გურამ ბათიაშვილი

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

აჰარონ მდინარაძე

ზ ე მ ო თ

ფარაშა „შემოთ“ იწყება შემდეგი სიტყვებით: და აი სახელები ისრაელის შვილების,

რომლებიც ჩამოვიდნენ, მიცრაიმში, იაყაკოვთან ერთად, თავიანთი ოჯახებით.

გვასწავლიან ჩვენი კომენტატორები, რომ ისრაელის ფარგლებს გარეთ ცხოვრების წესები უნდა ვისწავლოთ ეგვიპტეში ჩვენი წინაპრების ცხოვრებისგან.

ის რომ დამატებულია ფრაზა თავიანთი ოჯახებით - აქედან ჩანს,რომ იაყაკოვის შვილებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შვილების სწორი აღზრდა და განათლება . ამიტომ საჭირო იყო ისეთი ატმოსფეროს შექმნა,რომელშიც ბავშვები გაიზრდებიან სიწმინდეში და შეინარჩუნებენ სულიერ სისუფთავეს.

ისინი არ დაცილდნენ თავის ტრადიციებს-შაბათს, ქაშერ საკვებს, ოჯახურ სიწმინდეს, რამაც საბოლოო ჯამში ებრაელი ერიგადაარჩინა. მათ არ დაკარგეს თავიანთი სახელები, ჩაცმულობა და ენა. ეს იყო ის, რაც მათ მუდამ ახსენებდა-ვინ არიან და საიდან მოდიან.

მთავარი აქცენტები ამ საკითხებისა ჩანს იაყაკოვის შვილების სახელებში

1-რეუვენ-შედგება სიტყვებისგან „რეუ“ (ზმნისგან „ლიროთ“ - ყურება) და „ბენ“ (შვილი) - რომ უნდა ვუფრთხილდებოდეთ ჩვენ თვალებს-რომ არ უყუროთ უწმინდურ და აკრძალულ ნივთებს, ასევე გვახსოვდეს ვისი შვილები ვართ,და არ გავყვეთ უცხო რელიგიას, კულტურას.

2-შიმონ (ზმნა "ლიშმოა" - მოსმენა) უნდა გავფრთხილდეთ და არ მოვისმონოთ უაზრო და აკრძალული ლაპარაკი.

3-ლევი (ზმნა „ლევავოთ“ - გაცილება, თანხლება) თუ ჩვენ დავიცავთ ჩვენს თვალებს და ყურებს, ჰაშემი მუდმივად იქნება ჩვენს გვერდზე.

4- იეჰუდა (ზმნა „ლეჰოდოთ“ - მადლიერება) თუ ჩვენ ვიცავთ ჩვენ თავს უწმინდურობისგან, ახლოს ვიქნებით ჰაშემთან და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვიყოთ მისი ნამდვილად მადლიერი, მიუხედავად განდევნის და უცხო ქვეყანაში ცხოვრების პრობლემებისა.

5-6 - ისახარ და ზევულუნ-თუ დავიწყებთ დათვლას იაყაკოვისგან - ისახარი გამოდის მეექვსე და ზევულუნი მეშვიდე-აქ არის მინიშნება პარასკევზე და შაბათზე-შაბათის დაცვაზე მისი ყველა წესებით: თუ ადამიანი ამას აკეთებს - ჰაშემი მას ეხმარება ყველა საქმის წარმატებით დამთავრებაში

7-იოსეფ (ზმნა „ლეოსიფ“-დამატება)- თუ დავიცავთ ყველა ზემოთ მოყვანილ წესს, ჰაშემი დაგვეხმარება ჩვენი სულიერი პოტენციალის გაძლიერებაში და მუდმივათ ვიმოძრავებთ სულ მაღლა და მაღლა, როგორც სულიერ ასევე მატერიალურ საკითხებში.

8-ბინიამინ (სიტყვისგან „ბინა“ - გაგება, ანალიზი) თუ ამ დონეზე მივალთ, ჰაშემი შეცდომებისგან დაგვიცავს.

9-10-დან და ნაფტალი - („დან“ - სიტყვისგან „დინ“ - სამართალი,ნაფტალი ჰგავს სიტყვას „თფილა“-ლოცვა) - ეს არის წმინდანების დონე, რომლებსაც ჰაშემი აძლევს ძალაუფლებას ამ სამყაროში და მათ თავიანთი ლოცვით შეუძლიათ შეცვალონ ზეცაში გამოტანილი განაჩენი.

11-გად (წარმატება) - ამ დონეზე შეგვიძლია შევუერთდეთ უმაღლეს წყაროს კურთხევისა და ჩამოვიტანოთ ის ამ სამყაროში.

12-აშერ (სიტყვისგან „ოშერ“ - ბედნიერება) - საბოლოო დონე - ეს არის შეგრძნება მთლიანი კმაყოფილებისა,როგორც სულიერ, ასევე მატერიალურ საკითხებში

ხახამ მენახემ მენაშეს წიგნის „აჰავათ ხაიმის“ მიხედვით

შაბათ შალომ!

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას

ყმაწვილობის წლებიდან ვარ დაკავშირებული „ლიტერატურულ საქართველოსთან“. ჯერ უზენაესს, მერე კი დიდებულ შემოქმედსა და პიროვნებას — იოსებ ნონეშვილს ვუმადლი, ამ გაზეთში სამუშაოდ რომ მივედი — აქ დავიწყე სამსახური, როგორც ლიტერატურულმა მუშაკმა. ნახევარი საუკუნეა ამ გაზეთის ფურცლებზე ვიბეჭდები. ადრინდელისა ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ გიორგი ნატროშვილიდან მოყოლებული აგერ, თამაზ წივწივაძის რედაქტორობის ჩათვლით, გაზეთი მეტნაკლები წარმატებით იდგა ქართული სულიერების სამსახურში.

დღეს, როდესაც ამ გაზეთში იბეჭდება თითიდან გამოწოვილი ებრაელობისადმი ბრალდებებით აღვსილი სტატია, ბრალს გვდებენ „მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებასა“ და მისგან გამომდინარე საქართველოს (არა მხოლოდ საქართველოს, მთელი მსოფლიოს, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეული საქართველოს ყოფაა), თავსდატეხილ უბედურებაში („ლიტერატურული საქართველო.“ 42,16. XI, 46, 14. XII), **მე, დიდი ქართული ლიტერატურის ჰუმანისტურ იდეალებზე აღზრდილი ებრაული წარმოშობის ქართველი მწერალი, თავს ვერ მივცემ უფლებას, ვიბეჭდებოდე მის ფურცლებზე.**

ერთ, ებრაელთა გამკილავ პუბლიკაციაზე („ლიტერატურული საქართველო“42, 16.XI) თავშეკავებული მოსაზრება გადმოგიგზავნეთ, მაგრამ აღარ მაქვს სურვილი იგი დღევანდელ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდოს. **„ლიტერატურულ საქართველოსთან“ კავშირის გაწყვეტა განსაკუთრებით გადამაწყვეტინა 46-ე ნომერში დაბეჭდილმა ანტისემიტურმა სტატიამ (რომლის ავტორიც ამგვარ ქმედებაში ამავე გაზეთის ფურცლებზე ადრეც ვამხილე),** ყველაფერმა ამან დამარწმუნა: გაზეთმა გეზი იცვალა — უცებ დაეტყო რედაქტორისა და მწერლის წასვლა — იმ ცხონებულს რომ ამ გზით ევლო, ის თამაზ წივწივაძე ვერ გახდებოდა, რომელმაც საერთო სიყვარული მოიპოვა. ნუ გგონიათ, ამგვარი ავტორები თამაზს არ აწუხებდნენ, მაგრამ იგი ქართულ სულიერებას ძლიერ უფრთხილდებოდა.

„ლიტერატურულ საქართველოსთან“ თანამშრომლობას გავაგრძელებ მაშინ, როცა ეს გაზეთი მწერლობას დაუბრუნდება — რედაქტორად კი ვიხილავთ ქართული ლიტერატურის სულისკვეთებით აღზრდილ წინდახედულ პიროვნებას, მწერალს.

იმედს გამოვთქვამ, ეს დრო არ დააყოვნებს!

ხელისუფლების საყურადღებოდ უნდა დავსძინო: ვერ გაამართლებს იმის თქმა, რომ პრესა თავისუფალია და მის საქმიანობაში არ ვერევითო. ,,ლიტერატურული საქართველო“ მხოლოდ პრესა არ არის — იგი დიდი ქართული კულტურის ნაწილია. კულტურას კი მოვლა უნდა!

გურამ გათიაშვილი

18.XII.18

მოშე დანიელი - 80

არიელის უნივერსიტეტის პროფესორს, ცნობილ ინჟინერ-მშენებელსა და მეცნიერს მოშე დანიელს (მოსე დანიელაშვილს) დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ჩვენ, მისი მეგობრები და თაყვანისმცემლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მხურვალედ ვულოცავთ ჩვენს მოშეს (მოსეს) ამ სახელოვან იუბილეს.

მოსე დანიელაშვილი დაიბადა ქ.თბილისში და იქვე 1956 წ. დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1961 წ. წარჩინებით დაასრულა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.

1963 წლიდან მოსე დანიელაშვილმა თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მთლიანად დაუკავშირა საქრთველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტს, სადაც 35 წლის განმავლობაში მსახურობდა, განვლო გზა ასპირანტიდან ლაბორატორიის ხელმძღვანელამდე. აქ მან განახორციელა მთელი რიგი საინტერესო კვლევითი სამუშაოებისა სივრცითი კონსტრუქციების ზიდვითი უნარიანობისა და არსებული შენობების სეისმომედეგობის შეფასების საკითხებში, მიიღო ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და უფროსი მეცნიერ-მუშაკის წოდება, ჩამოყალიბდა როგორც სივრცითი კონსტრუქციებისა და შენობების სეისმომედეგობის თეორიისა და პრაქტიკის მაღალკვალიფიციური ცნობილი სპეციალისტი. მის მიერ თანაავტორებთან ერთად დამუშავებულია არსებული შენობების სეისმომედეგობის შეფასების ორიგინალური მეთოდი.

აღსანიშნავია მოშეს მონაწილეობა საქართველოს ებრაელთა სალოცავების, მშენებლობასა და აღდგენაში, მათ შორის 1969 წელს ცხინვალის სალოცავის ახლად აშენებაში, 1991 წლის მიწისძვრისგან დაზიანებული ონის სალოცავის გაძლიერებასა და დანგრეული ნაწილების აღდგენაში და სხვა. დიდად მნიშვნელოვანია მის მიერ „ჯოინთის"დავალებით ებრაული სალოცავების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა. ცალკე უნდა აღინიშნოს მოსეს წვლილი 1991 წლის მიწისძვრისგან დაზიანებული ნიკორწმინდის ეკლესიის დროებით გაძლიერებაში, რამაც უზრუნველყო მომდევნო მიწისძვრებზე მისი მედეგობა.

1998 წელს მოშე დანიელი ისრაელში ამოვიდა და 1999 წლიდან დღემდე არიელის უნივერსიტეტში მოღვაწეობს, სადაც ის 2016 წლიდან სამშენებლო განყოფილების პროფესორია. ის აქაც ჩვეული ენერგიით იმავე საკითხებზე აგრძელებს სამეცნიერო მუშაობას, განსაკუთრებით ისტორიული ნაგებობების გაძლიერება-შენარჩუნებაზე. მ. დანიელი მრავალი საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეა, ავტორი და თანაავტორია 75-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის 2 მონოგრაფიისა, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოს, ყოფილი საბჭოთა კავშირის, ისრაელის და სხვა ქვეყნების ეროვნულ და საერთაშორისო ჟურნალებში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ინტერესი და პუბლიკაციები საქარველოს ებრაელი მეცნიერებისა და გამოჩენილი პიროვნებების მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენ, მისი მეგობრები და კოლეგები, კვლავ და კვლავ ვულოცავთ მოშე დანიელს (მოსე დანიელაშვილს) დაბადების 80 წლისთავს და ვუსურვებთ მას ისრაელის მადლიან მიწაზე ბედნიერ და წარმატებულ ცხოვრებას 120 წლამდე თავის ოჯახსა და შთამომავლობასთან ერთად.

მრავალჟამიერ!

მიხაელ ბენ ხაიმი, არიელის უნივერსიტეტის პროფესორი; იაკობ ბლოხი, არიელის უნივერსიტეტის პროფესორი; გურამ გაბრიჩიძე, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი; რივკა გილათი, არიელის უნივერსიტეტის პროფესორი; ისაკ ელიშაკოვი, ატლანტის უნივერსიტეტის პროფესორი; რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი), არიელის უნივერსიტეტის პროფესორი; ვლადისლავ ზაალიშვილი, პროფესორი, ვლადიკავკაზის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი; შლომო იანეცი (ჩაჩანაშვილი), ბარ ილანისა და არიელის უნივერსიტეტების პროფესორი; დოქტორი ბორის კრიხელი, აშკელონის აკადემიური კოლეჯი; დანიელ ლევი, ბარ ილანის უნივერსიტეტის პროფესორი; მიხაელ მეგრელიშვილი, ბარ-ილანის უნივერსიტეტის პროფესორი; დოქტორი ფინხას ნანიკაშვილი, ბარ-ილანის უნივერსიტეტი; დოდო ჩიკვაშვილი, თელავივის უნივერსიტეტის პროფესორი; ისრაელ ხანუკოგლუ (ენუქაშვილი), არიელის უნივერსიტეტის პროფესორი; დოქტორი აბენ ხვოლესი, ბარ ილანის უნივერსიტეტი.

ბრაზილიას საელჩო იერუსალიმში გადააქვს

ბრაზილიაში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ჟაირ ბოლსონარუ თავის წინასაარჩევნო პროგრამაში აცხადებდა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ისრაელში ბრაზილიის საელჩოს იერუსალიმში გადაიტანდა.

არჩევნებში სწორედ ბელსონარუმ გაიმარჯვა. ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა არ დააყოვნა და „ტვიტერის“ თავის გვერდზე დაწერა: „როგორც საარჩევნო კომპანიისას ამომრჩეველს დავპირდით, ჩვენს საელჩოს ისრაელში თელ-ავივიდან იერუსალიმში გადავიტანთ. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ იმას, რომ ისრაელი სუვერენული სახელმწიფოა“.

ამას გარდა, ჟაირ ბელსონარუმ განაცხადა:

— იმდენად რამდენადაც, პალესტინის სახელმწიფო, როგორც ასეთი, არ არსებობს, არა-რა მიზეზი არა გვაქვს, ბრაზილიაში გვქონდეს პალესტინის საელჩო.

ლამაზიცა და მამაციც

აპრილში ჰამბურგელი იანინა ლევი ბერლინში სტუმრობისას შემთხვევით მოწმე გახდა სამი მუსლიმი, თუ როგორ დაესხა თავს ორ ებრაელ ახალგაზრდას. იანინა თავდამსხმელებს არ შეუშინდა და ჩხუბში ჩაერია. თავდამსხმელები შეშინდნენ და გაიქცნენ, მაგრამ მომდევნო დღეს ისინი დააკავეს.

29 ოქტომბერს კი იანინა ლევის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰეიკო მაასმა გადასცა „სამოქალაქო მამაცობის“ პრემია, რომელიც ენიჭებათ რადიკალიზმის, ანტისემიტიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებს.

„სამოქალაქო მამაცობის“ პრემია დააარსა საზოგადოებამ ,,ევროპაში გაჟლეტილ ებრაელთა მემორიალი.“ მისი ფულადი ექვივალენტი გახლავთ 3000ევრო და იგი უკვე მეცხრედ გადაეცა ადამიანებს, რომლებიც დემოკრატიული ყოფისათვის იბრძვიან.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰეიკო მაასმა პრემიის გადაცემისას მხარი დაუჭირა იანინა ლევის ქმედებას და განაცხადა, რომ იგი სამაგალითო უნდა გახდეს.

„დავით ბენ გურიონი“



მწერალმა და დრამატურგმა გამომცემლობა „პალიტრა L“ დაკვეთით ისრაელელ ავტორთა შრომებზე დაყრდნობით დაწერა წიგნი „დავით ბენ გურიონი“, რომელიც სერიაში „50 პერსონა. მათ შექმნეს ისტორია“, უკვე გამოიცა და იყიდება საქართველოს პრესის ჯიხურებში. „დავით ბენ გურიონი“ გახლავთ ჟურნალ „ისტორიანის“ ბიბლიოთეკის 34-ე ტომი.

წიგნში გადმოცემულია დავით ბენ გურიონის ბიოგრაფია დაბადებიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე, ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის ურთულესი ბატალიები, ის, თუ როგორ იბრძოდა ეს დიდი პოლიტიკოსი და მოღვაწე ისრაელის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

წიგნის რედაქტორია ლადო იოსებაძე, დიზაინერი — მაიკო სანადირაძე

კანადის პრემიერ-მინისტრის ბოდიში

კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრიუდომ კანადის თემთა პალატაში გამოსვლისას ოფიციალურად მოიხადა ბოდიში იმის გამო, რომ 1939 წ.კანადის ხელისუფლებამ არ მიიღო ნაცისტური გერმანეიიდან ლტოლვილ ებრაელთა გემი „სენტ-ლუისი.“ რომელიც გერმანიიდან კუბისაკენ მიემართებოდა და რომელზეც 930 ლტოლვილი იმყოფებოდა — ეწადათ კუბაში უსაფრთხო გარემოში დალოდებოდნენ აშშ-ში შესასვლელ ვიზას, მაგრამ არც კუბამ და არც ლათინური ამერიკის სხვა სახელმწიფოებმა ებრაელები არ მიიღეს. უკან მობრუნებულებმა ითხოვეს კანადაში შესულიყვნე. მიღებაზე კანადამაც უარი განაცხადა და იძულებული გახდნენ, ისევ ევროპაში დაბრუნებულიყვნენ. ისინი დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიასი განაწილდნენ.

ებრაელობა — რთული ხალხი

ცნობილია, რომ დონალდ ტრამპი ერთობ კეთილად გახლავთ განწყობილი ისრაელის სახელმწიფოსა და ებრაელი ხალხის მიმართ. სხვა ფაქტებს რომ გვერდი ავუაროთ, თუნდაც ის რად ღირს, რომ აშშ საელჩო თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანა. მიუხედავად ამისა, აშშ-ში 7 ნოემბერს ჩატარებულ არჩევნებში აქ სახელმწიფოს ებრაელთა 75% არა დონალდ ტრამპის რესპუბლიკურ პარტიას, არამედ დემოკრატებს დაუჭირა მხარი.ეს კი იმას ნიშნავს, რომ აშშ ებრაელთა 75% არ იწონებს დონალდ ტრამპის პოლიტიკას. კიდევ ერთხელ დასტურდება: აშშ ებრაელობა არა ეროვნული, არამედ პოლიტიკური ინტერესებით მოქმედებს.

არჩევნების შედეგად აშშ კონგრესის თემთა პალატაში 28ებრაელია, აქედან მხოლოდ ორია რესპუბლიკური პარტიის წევრი, 26 კი დემოკრატია.

სენატორი გახდა ცხრა ებრაელი — ყველა დემოკრატიული პარტიის წევრი.

ნანა დავარის ხსოვნას

ისრაელში მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა პოეტი ნანა დავარი.

ნანა დავარის ლექსები ჯერ კიდევ საქართველოში მისი ცხივრების წლებში იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. აღსანიშნავია, რომ მისი ლექსების პირველი პუბლიკაცი — შემოქმედებითი დებიუტი სწორედ გაზეთ „მენორას“ ფურცლებზე შედგა. იგი წერდა ემოციურ ლექსებს საქართველოზე, ისრაელზე, სიყვარულზე — მისი ლექსების უმთავრესი მახასიათებელი სწორედ ემოციურობა გახლდათ.

საცხოვრებლად ისრაელში გადასვლის შემდეგ ნანა დავარის ლექსები თემატურობის თვალსაზრისით, კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა: მსახიობ ზ. ბოთერაშვითან ერთად, ქ. აშდოდში ჩამოაყალიბა ქართული თეატრი, ეწეოდა საგანმანათლებლო კულტურულ მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში ცხოვრობდა, საქართველოსთან კავშირი არ გაუწყვეტია — ხშირად ჩამოდიოდა, აქ გამოიცა მისი რამდენიმე წიგნი, ჰყავდა უამრავი მეგობარი და პოეტური თაყვანისმცემელი. საქართველოში მტკივნეულად აღიქვეს მისი გარდაცვალება. მრავალმა მეგობარმა დაიტირა.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია უერთდება ამ საერთო გულისტკივილს და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის შვილებს, მეგობარ-ახლობლებს.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003